# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 24 სექტემბერი 2008 №220 (3444) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# კუპერი და ქუფნქუბს

## არგენტინელმა ქართველთა შორის ფეხბურთის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება გახსნა

გუშინ ექტორ რაულ კუპერმა საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე 18 ფეხბურთელი შეკრიბა და „მიხეილ მესხზე“ ავარჯიშა. ეს ის ფეხბურთელები იყვნენ, ეროვნული ნაკრების მწვრთნელს თვალში რომ მოუვიდნენ და ნაკრების კანდიდატებად მიიჩნია.

კუპერმა გააკეთა ის, რასაც ნაკრების წინა მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერისგან ორი წელი ამაოდ ველოდით და რაზეც მთელი იმ ხნის მანძილზე მასაც და საფეხბურთო ჩინოვნიკებს მუდმივად ვედავებოდით.

დღევანდელ „სარბიელში“ ნახსენებ ვარჯიშზე ჩვენეულ დაკვირვებას რომ წაიკითხავთ, აღმოაჩენთ, რომ ნაკრების არაერთი კანდიდატისთვის ისეთი რამეების ახსნა გახდა საჭირო, პირველკლასელის ენით რომ ვთქვათ, „აი, ია“-ს ტოლფასი იყო.

ეს სამწუხაროა. ნაკრების კანდიდატს „აი, ია“-ზე ცოტა მეტი მოეთხოვება. მაგრამ აი, რა გვინდა ვთქვათ: ნიშნავს ეს, რომ ტოპმიოლერის თეორია, საქართველოს ჩემპიონატში სანაკრებოდ მიმზიდველი ფეხბურთელები არ თამაშობენო, სწორი იყო? რომ ჩვენ მცდარად მივუთითებდით ეროვნული ჩემპიონატისთვის ყურადღების მიქცევის აუცილებლობაზე?

სხვათა შორის, ამ კითხვას პასუხი თავად ტოპმიოლერმა გასცა, როდესაც ნაკრებში საშუალო გაქანების კლუბიდან მიიწვია ლევან ყენია.

ჩვენ ამ წუთსაც არ ვფიქრობთ, რომ ყენია ზრდასრული ფეხბურთელია, მაგრამ ფაქტია, რომ მასთან მუშაობა შეიძლება და აუცილებელიცაა.

ყენიას მაგალითი თვალსაჩინოებისთვის გამოვიყენეთ და ამით გვსურს ვაჩვენოთ, რომ საქართველოში ნიჭი საკმაოდაა, ოღონდ ყველაზე ნიჭიერსაც სჭირდება „აი, ია“-ს სწავლა. და თუ ეს პროფესიულ კლუბში მოხვედრამდე არ უსწავლია, ცალკე საუბრის თემაა.

ერთი სიტყვით, ექტორ რაულ კუპერის წადილს, საქართველოს ჩემპიონატში სანაკრებო ფეხბურთელები აღმოაჩინოს, ვეჭვობთ, გონიერი მოწინააღმდეგე გამოუჩნდეს, „აი, ია“-ს კი...: თუმცა ყველაფერი ხომ სწორედ ამ „აი, ია“-თი იწყება...

ბოლოს კი კარგი და მნიშვნელოვანი ამბავი: ფიფას გადაწყვეტილებით, მომდევნო საშინაო შესარჩევ მატჩებს საქართველოს ნაკრები საქართველოში ჩაატარებს.



# საქართველო საქართველოში ითამაშებს



ბადრი ქეთილაძის ფოტო

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებებს ბოლო დროს იშვიათად მოუხერხებიათ ევროჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველი ეტაპის გადალახვა და ეგებ, ამჯერად მაინც...
გელა შეყილაძის გუნდმა გუშინწინ მასპინძელ უნგრეთთან 2:2 ითამაშა და ახლა ჯერი ჩეხეთთან და ბოსნიასთან მატჩებზეა. გეცოდინებათ, ჯგუფიდან ორი გუნდი გადის — ჩვენის მხრივ, შეგახსენებთ, რომ მადიარებს ორივე გოლი იტალიური „ემპოლის" ახალგაზრდული გუნდის ფორვარდმა ირაკლი შეყილაძემ გაუტანა.
გელა შეყილაძეს გუშინ უნგრეთში დავუკავშირდით და ამ თამაშზე ვესაუბრეთ...

# საქართველოს ელჩმა უქომაგა

## გელა შეყილაძე: ნეტავ, კიდევ ასე გვიმსაჯონ

— ორჯერ იგებდით და მაინც ფრე. როგორი თამაში იყო უნგრეთთან?

— თამაშმა, ასე ვთქვათ, გარდამავალი უპირატესობით ჩაიარა, თუმც მაინც ვიტყვი, რომ ჩვენ უფრო შეგვეძლო მოგება — არა მარტო იმიტომ, რომ ორჯერ ვიგებდით, უბრალოდ, ჩვენ უფრო მეტი საგოლე შანსი გვქონდა. მეორე გოლი უყურადღებობის გამო გავუშვით. ისე, ტემპი მაღალი იყო, კარგი ფეხბურთი არჩვენეს გუნდებმა.

— 2:2-ის შემდეგ კიდევ 15 წუთი იყო დარჩენილი. ამ პერიოდში გქონდათ საგოლე მომენტები?

— დიახ. ძალამიძესა და ჩაფიძეს შეეძლოთ გატანა, მაგრამ უნგრელთა მეკარემ სასწაული ბურთები მოიგერია. თავის მხრივ, უნგრელებსაც ჰქონდათ ერთი შანსი.

— ხვალ ჩეხეთს ხვდებით. ნახეთ მათი მატჩი ბოსნიასთან?

— ახლა სწორედ ამ თამაშის ყურება დავიწყე. ჩეხებმა პირველი გოლი მე-2 წუთზე სტანდარტულით გაიტანეს. დღეს საღამოს უფრო მეტი გვეცოდინება ორივე გუნდზე.

— ტრავმები ხომ არაა გუნდში?

— არა. მიკროტრავმები არის, თუმც თამაშის გამოტოვება არავის ემუქრება.

— მსაჯობა როგორი იყო უნგრეთთან? მაინც მასპინძელ ნაკრებს ხვდებოდით...

— ძალიან კარგი მსაჯობა იყო. სიმართლე გითხრათ, თავიდან მეშინოდა, სიმპათიები არ ჰქონოდათ უნგრელების მიმართ, მაგრამ მსგავსი არაფერი. იყო პატარ-პატარა შეცდომები, თუმცა ეს აღნიშვნად არც ღირს. ნეტავ ასეთი მსაჯობა იყოს ჩეხეთთან და ბოსნიასთანაც.

— პირობებით რამდენად კმაყოფილი ხართ?

— იდეალური პირობები არ არის, მაგრამ არც ისეთი ცუდია, წუწუნი რომ დავიწყოთ. ნორმალურად მიდის ყველაფერი. მინდვრებიც კარგია.

— უნგრეთთან მატჩისას ქართველი გულშემატკივრები ხომ არ იყვნენ სტადიონზე?

— მხოლოდ ერთი კაცი იყო მოსული თავისი ოჯახით და ორი ტაიმის განმავლობაში გვქომაგობდა. ესეც საკმარისი იყო, რათა მხარდაჭერა გვეგრძნო. ეს კაცი გახლავთ საქართველოს ელჩი უნგრეთსა და სერბეთში კონსტანტინე ჟღენტი.

**ილია ნანობაშვილი**

**უნგრეთი 2:2 საქართველო**
0:1 შეყილაძე (20), 1:1 ანგიალი (52), 1:2 შეყილაძე (53პ), 2:2 ანგიალი (65)
**უნგრეთი:** ამბრუსიჩი, კალაში, იზგინი, ოტიგბა, ფარკაში, კელემენი, შაკალი (კოვაჩი 52), სკრიბა, პონჩოკი, გიურიანი (მაგოში 46), ანგიალი
**მწვრთნელი:** დიულა შივოცკი
**საქართველო:** ნადირაძე, ამაშუკელი (გაბაშვილი 51), მირცხულავა, ფუტკარაძე, აფაქიძე, კვეკვესკირი, ძალამიძე, ელიზბარაშვილი, ანანიძე, ი. შეყილაძე, ჩაფიძე
**მწვრთნელი:** გელა შეყილაძე
**გაფრთხილება:** პონჩოკი
**მსაჯები:** ა. ანგელოვი, კ. სტოილოვი (ორივე ბულგარეთი), რ. ჯინგულეაკი (რუმინეთი)

# თვალი თვალი



ბადრი ქეთილაძის ფოტო

გორში საინტერესო სანომრე ნიშნით ერთი მანქანა დადის...
გუშინწინ, როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და ეროვნული გუნდის თავკაცი ექტორ რაულ კუპერი დევნილებს ესტუმრნენ, თანაუგრძნეს და საჩუქრები ჩაუტანეს, მათ ვერცხლისფერ „ტოიოტას" გორის ცენტრში „ტოიოტასავე" სხვა მოდელი, „ლენდ კრუიზერი" დახვდა და „კარვების ქალაქამდე" მიაცილა.
ჰოდა, კარგად თუ დააკვირდებით, ამ ჯიპის სანომრე ნიშანზე ერთი პატივცემული ამერიკელი კაცის გვარს ამოიკითხავთ. ამერიკის რესპუბლიკური პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატ ჯონ მაკკეინს საქართველოში რომ ბლომად მხარდამჭერი ჰყავს, ეს ყველამ კი ვიცით, მაგრამ მის მიმართ სიმპათიას ამგვარი ფორმითაც თუ გამოხატავდნენ, ნამდვილად არ ველოდით...
ისე, ყველაფერს ხომ მოფიქრება უნდა?!

### ავსტრია
**ბუნდესლიგა**
რიდი 1:0 რაპიდი
**აღმოსავლეთი**
ადმირა 3:1 ლუსტენაუ
აუსტრია (ლ) 0:3 ნეუშტადტი
გრიოდიგი 0:1 აუსტრია (ვ)
ინსბრუკი 4:1 ლეობენი
ზალცბურგი (მ) 2:1 ვოკლაბრუკი
სტ პოლტენი 1:0 გრატკორნი

### ხორვატია
**თასი**
ჰრვაცკი 1:0 მედიმურია
კარლოვაცი 1:1 (7:6 პენ) ისტრა
ორიენტი 1:4 ჰაიდუკი

### ჩეხეთი
**თასი**
ფულნეკი 0:2 პლზენი

### დანია
**II დივიზიონი**
ოდენსე (მ) 2:1 იკასტი

### ინგლისი
**კონფერენსლიგა**
ალტრინჩემი 1:0 მენსფილდი
ებსფლიტი 1:1 ისტბორნი
ფორესტ გრინი 1:2 ტორკი
ჰისტონი 1:1 ლევესი
კიდერმინსტერი 2:0 იორკი
ნორთსვიჩი 2:1 ბაროუ
ოქსფორდი 3:1 კემბრიჯი
ვეიმუთი 2:2 ქრაული
უოკინგი 1:0 სალისბური
რექსემი 0:3 რაშდენი
**ლიგის თასი**
არსენალი 6:0 შეფილდი
ბარნლი 1:0 ფულემი
ლიდსი 3:2 ჰარტლპული
როტერჰემი 3:1 საუთჰემპტონი
სტოკი 2:2 (4:3 პენ) რედინგი
სანდერლენდი 2:2 (4:3პენ) ნორთჰემპტონი
სუონსი 1:0 კარდიფი
უოტფორდი 1:0 ვესტ ჰემი
ლივერპული 2:1 ქრიუ
მანჩესტერი 3:1 მიდლსბრო
**LDV ტროფი**
ლესტერი 0:0 (3:1პენ) ლინკოლნი

### ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატი
**შესარჩევი ეტაპი**
ბელარუსი 0:0 მაკედონია
ფინეთი 4:0 ალბანეთი
დანია 4:1 ისრაელი
რუმინეთი 5:0 ლიტვა
ავსტრია 11:0 ლიხტენშტაინი
ბელგია 2:0 ჩრდ. ირლანდია

### კვიპროსი
**თასი**
ერმისი 1:1 აპეპ
ეთნიკოსი 0:0 ასილი

### საფრანგეთი
**თასი**
ბასტია 0:1 შატორუ
ბულონი 1:3 ნიცა
კრეტეი 1:0 ნანტი
ვანი 3:3დ.დ. (2:2, 6:5პენ) ვალენსიენი
ოსერი 1:1 (6:5 პენ) ტულუზი

### პოლონეთი
**თასი**
სტალოვა ვოლა 1:0 ბელხატუვი
გურნიკი 2:3დ.დ. (2:2) კრაკოვია
კატოვიცე 3:4დ.დ. (3:3) გურნიკი (ზ)
ვაგროვიეცი 0:3 პოლონია (ვ)
ოდრა 2:0 პოლონია (ბ)
პლოსკი 1:2 დ.დ. (1:1) ლეგია

### იტალია
**სერია B**
ანკონა 2:0 ბრეშა
ავე...ინო 2:2 გროსეტო
ბარი 0:0 ლივორნო
ემპოლი 3:1 მოდენა
მანტოვა 0:0 ასკოლი
პარმა 2:2 ფროზინონე
პიაჩენცა 0:0 რიმინი
პიზა 0:2 ვიჩენცა
სალერნიტანა 0:1 ტრიესტინა
სასუოლო 1:0 ალბინოლეფე
ტრევიზო 0:1 ჩიტადელა

### ბალტიის ლიგა
სკონტო 5:0 რიგა

### იაპონია
**ჯეი ლიგა**
ოიტა 3:2 საპორო
ნიიგატა 3:2 კობე
შიმიცუ 1:0 ვერდი
იოკოჰამა 1:1 კავასაკი
ტოკიო 5:1 ივატა
ჩიბა 2:1 ნაგოია

### გერმანია
**თასი**
აუე 1:2 ვერდერი
კოტბუსი 3:0 გლადბახი
აინტრახტი 1:2 დ.დ. (1:1) ჰანზა
მაინცი 3:1 კიოლნი
აუგსბურგი 0:2 ლევერკუზენი
მიუნხენი 0:0 (5:4 პენ) დუისბურგი
შალკე 2:0 ჰანოვერი

### ჰოლანდია
**თასი**
რინსბურგსი 2:1 როზენდალი
იონგი 0:3 პსვ
ქუიკი 1:2 ვაალვიკი
კამბური 3:3 (3:0 პენ) ზვოლე
დენ ბოსხი 2:1 ჰაარლემი
დორდრეხტი 3:2 ვეენდამი
ჰოენსბროკი 0:3 სიტარდი
ჰელმონდი 2:2 (2:4პენ) ოჰენვოლდი
HHC 1:1 (5:3 პენ) იგლზი
ისელმეერვოგელსი 1:3 აპელდორნი
ლისე 3:4 ახილესი
ქვიკ ბოისი 0:1 ტილბურგი
ალკმაარი 3:0 ჰერაკლესი

### შოტლანდია
**ლიგის თასი**
სელტიკი 4:0 ლივინგსტონი
დანდი იუნ. 2:0 ეარდრი
დანფერმლაინი 2:0 სტ. მირენი
ფოლკირკი 2:1 ქუინი
მორტონი 1:2დ.დ. (1:1) ინვერნესი

### შვედეთი
**ალსვენსკა**
ნორჩიოპინგი 1:0 მალმიო
ელფსბორგი 1:0 ჰამარბი
**სუპერეტა**
ატვიდაბერგი 2:0 ასირისკა

### შვეიცარია
**სუპერლიგა**
გრასჰოპერი 3:1 ბელინცონა

### რუსეთი
**თასი**
დინამო 2:0 სკა როსტოვი

### ფინეთი
**იუკონენი**
ატლანტისი 2:0 კაპა

### სლოვაკეთი
**კორგონ ლიგა**
ტრნავა 1:1 სლოვანი

### ლიტვა
**A ლიგა**
ჟალგირისი 1:1 კაუნასი

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ფიფამ გამოაცხადა: საქართველო თბილისში ითამაშებს

„ჩვენ ვაკვირდებით საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და იქ სახიფათო არაფერი ხდება“ — ასეთია ფიფას ოფიციალური განცხადება და იქვე დართულია, რომ საქართველოს ნაკრები მუნდიალ-2010-ის მოახლოებულ მატჩებს შინ გამართავს.

მოკლედ, ფიფამ დაგვრთო ნება და გადაწყვეტილია: ჩვენები 11 ოქტომბერს კვიპროსს და 15 ოქტომბერს ბულგარეთს თბილისში ეთამაშებიან.

ეს მოსალოდნელიც იყო: აკი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი ათიოდ დღის წინ ფიფას თავკაც ზეპ ბლატერს შეხვდა და მისგან მიიღო კიდეც დასტური თბილისში მატჩების გამართვაზე. ახლა კი ეს ოფიციალურად გაჟღერდა.

უკვე ჩავლილი ამბავია, მაგრამ გულდასაწყვეტია, რომ 6 სექტემბერს საქართველოს ნაკრებმა თბილისის ნაცვლად მაინცში უმასპინძლა ირლანდიას. აკი, კახა კალაძემ ფიფას უსაყვედურა კიდეც ამის გამო, თბილისში არანაირი საფრთხე არ ელოდათ ირლანდიელებს, ქართველ გულშემატკივარს ზეიმის საშუალება უმიზეზოდ მოუსპეთო...

**ილია ნანოგაშვილი**

# მიხეილ ბარაბაძე: ჰიკ-შია, ესბიერგში ვარჯიშობს და რიგში ორი უდგას




**დანიის** მეორელიგელ ჰიკ-ის ფორვარდ მიხეილ ბარაბაძეს ზამთარში, სავარაუდოდ, კარგ კლუბში ვიხილავთ.

ბარაბაძემ თავად გვითხრა და გუშინ დანიურ ვებგვერდზეც დაიწერა, რომ მისით „ესბიერგის“ გარდა, „ვაილე“ და „ორჰუსიც“ არიან დაინტერესებულნი.

გეცოდინებათ, ეს ბიჭი წლეულს მარტში გადავიდა ჰიკ-ში და ბლომად გოლები გაიტანა, თუმც გუნდს პირველი ლიგიდან გავარდნისგან ვერ უშველა. ახლა მის თამაშებს ჰიკ-ში აკვირდებიან — თამაშის პარალელურად, ბარაბაძე „ესბიერგშიც“ ვარჯიშობს.

„ჯერ მაინც ვერსად გადავალ, ხოლო ზამთარში რამდენად კარგ გუნდში მოვხვდები, ეს უკვე ჩემზეა დამოკიდებული“ — გვითხრა ბარაბაძემ, რომელსაც გუშინ დაბადების დღე ჰქონდა: 20 წლის გახდა.

**ილია ნანოგაშვილი**




# კუპერმა ორჯერ ორით დაიწყო

**კლაუს ტოპმიოლერისგან** განსხვავებით, ექტორ რაულ კუპერს უკვე დაეტყო, რომ ჩვენს ნაკრებთან მართლაც გულიანად სურს მუშაობა და საკმაოდ მოტივირებულია... ის, რაც ტოპმიოლერს აქ მუშაობის ორი წელიწადის განმავლობაში არ გაუკეთებია, კუპერმა მწვრთნელად დანიშვნიდან ერთ თვეში გააკეთა. არგენტინელი სპეციალისტი თავის თანაშემწეებიანად თბილისში ჩამოვიდა, ბინა დაიდო, საქართველოს ჩემპიონატისა თუ თასის მატჩები ნახა და თავგამოჩენილები გუშინ „მიხეილ მესხზე“ შეკრიბა.

ვარჯიშმა საათნახევარს გასტანა, თუმცა იქამდე კუპერი და მისი თანაშემწეები ბიჭებს კარგა ხანს ესაუბრნენ და ვფიქრობთ, ახალ ფეხბურთელებთან საქმის ასე დაწყებაც არ უნდა იყოს ურიგო ამბავი.

ექტორ კუპერმა გუშინდელი ვარჯიშისთვის 18 ფეხბურთელი გამოიძახა, მაგრამ „ოლიმპის“ მცველი ნოდარ მაჭავარიანი ტრავმირებული იყო და ტრიბუნაზე იჯდა.

მოგვიანებით ტრავმა მიიღო და სამკურნალო გახდა „ზესტაფონის“ საყრდენი ნახევარმცველი მურთაზ დაუშვილი, თუმცა კი, ვიდრე ჯანზე იყო, სხვა ნახევარმცველებთან და მცველებთან ერთად კუპერის თმაგაშვებულ თანაშემწე ხოსე ფანტაგუსის მითითებებს ყოჩაღად ასრულებდა. სწორედ ფანტაგუსს ჰყავდა დაცვითი ფუნქციების შემსრულებლები მიმაგრებული და ისიც სამხრეთული ტემპერამენტით ფეხბურთელებს დეტალურად უხსნიდა თუ ცდილობდა აეხსნა, მცველები როდის რა მიმართულებით უნდა გადაადგილებულიყვნენ. ფანტაგუსმა შეგირდებს ყველაფერი ხელის გულზე დაუდო.

მოედნის მეორე ნახევარზე კი უკვე ექტორ რაულ კუპერი იყო და შემტევ ნახევარმცველებსა თუ ფორვარდებს თავდასხმის ერთადერთ ვარიანტს ამუშავებინებდა. ეს პროცესი დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა და ბოლოს, როცა კუპერმა რამდენჯერმე იტალიურად გაიმეორა SI, SI, ფორვარდთა ცალკე ვარჯიშიც ამით დამთავრდა.

შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ერთი-ორი ფეხბურთელის გარდა კუპერის მითითებები თუ მოთხოვნები მის შეგირდებს მთლად კარგად არც ესმოდათ, ამ ბიჭების უმეტესობას ხომ თანამედროვე ფეხბურთის ძლიერ და ავტორიტეტულ სპეციალისტებთან არც უვარჯიშიათ და ცხადია, ერთი სიტყვით ბევრსაც ვერაფერს გაიგებდნენ.

მოკლედ, კუპერი და მისი თანაშემწე ფანტაგუსი ერთიდაიგივეს რამდენჯერმე იმეორებდნენ და როდის-როდის ფეხბურთელები ყველაფერს ისე აკეთებდნენ, როგორც მწვრთნელები ითხოვდნენ.

ვარჯიშის ბოლოსკენ უკვე კუპერი ბიჭებს ორი ერთზე შეტევას ასწავლიდა და თან ბურთიან ფორვარდებს უმეორებდა, მცველი თუ შენკენ წამოვა, მაშინ პასი გააკეთე, თუ მეწყვილეს გაჰყვება, თავად შეუტიე... ეს კომბინაციაც, როგორც იქნა, ისე შესრულდა, როგორც კუპერს სურდა და მერე სამი ორზე შეტევის დამუშავებაც დაიწყო. თავდამსხმელები ბევრს ეცადნენ, მწვრთნელის მოწონება დაემსახურებინათ, მაგრამ, ვინაიდან გოლი ვერ გაჰქონდათ, ვერც გიორგი ლომაიას, ვერც გრიგოლ ბედიაშვილისა და ვერც როინ კვასხვაძის კარში, ერთიდაიმავე კომბინაციები გრძელდებოდა და გრძელდებოდა...

ერთი, მართლაც უნაკლოდ გათამაშებული კომბინაცია კი გოლითაც დამთავრდა და მცველებს მოედნის ირგვლივ ორი „საჯარიმო“ წრის შემორბენაც მოუხდათ.

-ექტორ რაულ კუპერს სურს, რომ ამგვარი ვარჯიშები კვირაში ერთხელ ჩაატაროს და ჩვენს ჩემპიონატში გამორჩეულებს დაუძახოს. კარგია, როცა საქმე ასე იწყება...

**კობა ინასარიძე**







# ლევან ყენია: 18 ოქტომბრიდან ბუნდესლიგაც შეიძლება

**ალბათ,** ბევრი კითხულობს, რატომ ერთხელ მაინც არ ათამაშა გელზენკირხენის „შალკემ" ლევან ყენია ოფიციალურ მატჩებში. როგორც შევიტყვეთ, ჩვენიანს ამის უფლება ჯერ არ აქვს, სანამ 18 წლის არ გახდება — ეს არაევროკავშირელებს ეხებათ, თორემ მაგალითად, გერმანელი ტონი კროოსი 17 წლისა იყო, მიუნხენის „ბაიერნმა" რომ ათამაშა.

ყენია 18 წლისა 18 ოქტომბერს ხდება და მწვანე შუქიც მაშინ აენთება. მანამდე კი უნიჭიერესმა ქართველმა „შალკეს" რამდენიმე ამხანაგურ მატჩში ითამაშა.

გუშინ ლევანმა „ხუმარების" მეორე გუნდში 90 წუთი დაჰყო მინდორზე — გელზენკირხენელები „გლადბახს" 1:1-ზე გაეყარნენ.

„შალკეს" ვებგვერდის ცნობით, ჩვენიანი ძალიან აქტიური იყო, ერთხელ ალბერტ შტრაიტს, ერთხელაც პეტერ ლოვენკრანდსს შეუქმნა მშვენიერი მომენტებიო.

აღსანიშნავია, რომ „გლადბახთან" ყენიას გვერდით „შალკეს" ძირითადი გუნდის კიდევ ერთმა ფეხბურთელმა ითამაშა: შტრაიტსა და ლოვენკრანდსზე უკვე ვთქვით, მესამე კი მეკარე მანუელ ნოიერი გახლდათ.

**ილია ნანობაშვილი**

# ზაქარია ბეგლარიშვილი გადაწყდა: აიაქსში 3 თვით

„**ფონდი არველაძეების**" ცნობით, 18 წლის ზაქარია ბეგლარიშვილი დღეს ამსტერდამში ჩაფრინდება და „აიაქსში" ვარჯიშს დაიწყებს.

გეცოდინებათ, საქართველოს 19 და 21-წლამდელთა ნაკრებების ნახევარმცველი გაზაფხულზე უკვე იყო ჰოლანდიურ გრანდში და სარეზერვო გუნდში აკვირდებოდნენ, სადაც მწვრთნელთა მოწონებაც დაიმსახურა.

ბეგლარიშვილი ამჯერად დაახლოებით სამი თვით დარჩება „აიაქსში". მართალია, ჯერ კონტრაქტის გაფორმებაზე არ არის ლაპარაკი, მაგრამ ამსტერდამელებს ჩვენიანი რომ არ მოსწონდეთ, არც მიიწვევდნენ.

ზაქარია აქამდეც უნდა ჩასულიყო ჰოლანდიის დედაქალაქში, თუმცა სავიზო პრობლემები უშლიდა ხელს.

ჩვენიანი ერთ-ერთ ამსტერდამულ ოჯახში იცხოვრებს — ოჯახს „აიაქსი" შეურჩევს.



ბადრი კეთილაძის ფოტო

**ილია ნანობაშვილი**

# ჩიჩიკოვი ასათიანს სჯობიაო?!



მალხაზ ასათიანი

**ერთ-ერთმა** უკრაინულმა ვებგვერდმა ის 10 საუკეთესო ფეხბურთელი ჩამოთვალა, რომლებიც უკრაინულ კლუბებს იჯარით ჰყავთ აყვანილი.

საინტერესოა, რომ კიევის „დინამოში" ახლახან გადასული მალხაზ ასათიანი ამ სიაში მეათე ადგილზე გავიდა, რაც, ცოტა არ იყოს, არაობიექტური გვგონია — ასათიანი მეათეზე უნდა იყოს და, მაგალითად, პოლტავის „ვორსკლას" სერგეი ჩიჩიკოვი მერვეზე?!

საუკეთესო იჯაროსნად კი მალხაზის თანაგუნდელი რომან ერიომენკო დაასახელეს — ის ფინეთის მოქალაქეა, იქაურ ნაკრებში თამაშობს და კიეველებს იტალიური „უდინეზედან" ჰყავთ აყვანილი.

**ილია ნანობაშვილი**

# ხსოვნის ტურნირი ირაოზე

**გუშინ** ვაკეში, „ირაოს" ხელოვნურსაფარიან მოედანზე დაიწყო და 27 სექტემბრამდე გასტანს ტურნირი მინი-ფეხბურთში, რომელიც რუსეთის აგრესიისას დაღუპულთა ხსოვნას ეძღვნებათ. ტურნირი საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის თაოსნობით ტარდება და მასში უმაღლესი სასწავლებლების გუნდები მონაწილეობენ.

პირველ ტურში სტუ-მ 5:0 მოუგო საქართველოს უნივერსიტეტს, „ავიაციამ" 5:0 დაამარცხა შავი ზღვის უნივერსიტეტი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა 10:4 სძლია „პატრიოტებს", ხოლო თსუ-მ — 7:2 ქართულ-ევროპული ინსტიტუტს.

**ზურაბ მიგრიაული**

# გიორგი სეთურიძე: აქ ჩამოსვლამდე 10:0 აღარ დამხვდა



საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ორი ტური ჩათამაშდა. ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი რუსთავის „ოლიმპი" ახალი სეზონისთვის საკმაოდ გაძლიერდა, თუმცა ჯერ მოგების გემო არ იცის. გუშინწინ „ამერი" — „დინამო 2"-ის პირველი ლიგის თამაშისას ტრიბუნაზე **გიორგი სეთურიძე** შევნიშნეთ, რომელიც, სხვათა შორის, ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ჰექტორ რაულ კუპერმა გუშინდელი ვარჯიშისთვის გამოიძახა. საუბარი „მესხეთთან" მატჩით (1:1) დავიწყეთ...

— ძალიან ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთ და ამდენი გაცუდებული შანსის გამო კინაღამ წავაგეთ. კიდევ კარგი, ბოლოს თენგიზ ჩიკვილაძემ გადაგვარჩინა.

— მხოლოდ უიღბლობის ბრალი არ უნდა იყოს ამდენი მომენტის გაცუდება...

— რა თქმა უნდა. თუმცა რაც უნდა იყოს, გუნდი მაინც ახალი შექმნილია და შეთამაშება გვაკლია. ნელ-ნელა მოვუმატებთ და ყველაფერი კარგად წავა.

— „ოლიმპის" მიზანი ჩემპიონობა და თასის აღებაა?

— ჩვენ მაქსიმუმის მისაღწევად ვიბრძოლებთ. „ოლიმპს" დუბლის შესრულება შეუძლია.

— მთავარ კონკურენტად ვის მიიჩნევ?

— ჩემი აზრით, „ზესტაფონთან" მოგვიწევს მთავარი ბრძოლა.

— გერმანიაში იენის „კარლ ცაისში" იყავი და აქ დაბრუნებულს ამ ორ ტურში რა შთაბეჭდილება შეგექმნა ჩვენს ჩემპიონატზე?

— კარგია, რომ ყველა თამაში დაძაბულია. 10:0-ს ვეღარავის მოუგებ. ეს აშკარად იგრძნობა.

— „ოლიმპთან" ზამთრამდე გაქვს კონტრაქტი და მერე რას აპირებ?

— მინდა, ისევ უცხოეთში წავიდე და ვნახოთ...

**ნუგზარ ლოლაძე**

# განახლდა თამაში «ჩემი ფეხბურთი»

**26 სექტემბრიდან** განახლდება ინტერნეტ-თამაში „ჩემი ფეხბურთი".

რეგისტრაციის გავლის შემდეგ, შეგიძლიათ, მონაწილეობა მიიღოთ პოპულარულ ინტერნეტ-პროექტში.

შეგახსენებთ, რომ თამაში უფასოა.

ყოველ მომხმარებელს შეუძლია ერთი გუნდის შექმნა.

გუნდის დარეგისტრირება შესაძლებელია ნებისმიერ დროს სეზონის დაწყებამდე ან ჩემპიონატის მსვლელობისას, რეგისტრაციის გავლის შემდეგ, პირველ რიგში უნდა გაკეთდეს განაცხადი შემდეგი შემადგენლობით:

ერთი მწვრთნელი
ერთი მეკარე
ხუთი მცველი
ხუთი ნახევარმცველი
სამი თავდამსხმელი

ყოველ ფეხბურთელს გააჩნია პროფლიგის მიერ განსაზღვრული ფასი. თქვენი გუნდის საერთო ფასი არ უნდა აღემატებოდეს 9 მილიონ ლარს.

ერთი გუნდიდან ასარჩევი ფეხბურთელების რაოდენობაზე რაიმე შეზღუდვა არ არსებობს.

მოთამაშეთა სია შეიძლება ნახოთ www.myfootballgeopfl.com ვებგვერდზე.

პირველი სათამაშო ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილის საუკეთესო ხუთეული დასაჩუქრდება საქართველო — კვიპროსის ეროვნული გუნდების მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩზე დასასწრები ორი ბილეთითა და პროფესიული ფეხბურთის ლიგის ყოველწლიური ჟურნალით.

გისურვებთ წარმატებებს!

*პროფლიგის პრესსამსახური*

# ცემა და პატივისცემა ინგლისში



მიკ რაილის
რიო ფერდინანდმა აგინა

„ჩელსი" — „მანჩესტერ იუნაიტედი" დიდი მატჩი რომ იქნებოდა, ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ დიდ ალიაქოთსაც თუ მოიტანდა, ალბათ, ცოტას ეგონა. დიახ, შვიდი მანჩესტერელი ფეხბურთელის გაფრთხილებამ, მატჩის შემდეგ მათი ავტობუსისთვის ბოთლის სროლამ და შეხვედრას მოყოლილმა სხვა „სანელებლებმა" დიდი ხმაური გამოიწვია. მთავარი კი ის არის, რომ პრესამ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის წინააღმდეგ ამოიღო ხმა.

კერძოდ, აი, რა ხდება: მოგეხსენებათ, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ერთი ხნის წინ „პატივისცემის" კამპანია წამოიწყო. კამპანიის არსი ის გახლდათ, რომ საკამათო ეპიზოდებში მსაჯთან მხოლოდ გუნდის კაპიტანი უნდა მისულიყო და ზრდილობიანად გაერკვია, რატომ მიიღო უფალმა არბიტრმა ასეთი თუ ისეთი გადაწყვეტილება. და რა გამოვიდა ამ საქმიდან? ვაი, რომ „კამპანია" აბუჩად დარჩა აგდებული. სწორედ ამან განარისხა კიდეც ჟურნალისტები, რომელთაც ღრმად სწამთ, რომ ნებისმიერ წამოწყებას ქმედითი ზომები უნდა მოჰყვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დასაცინი გახდები.

დღეს, თუნდაც იმავე „ჩელსი" — „მანჩესტერის" მაგალითზე ბევრი ამტკიცებს, რომ ფეხბურთის ასოციაცია მოისუსტებს. მაგალითად, „იუნაიტედის" ერთბაშად შვიდმა მოთამაშემ მიიღო ყვითელი ბარათი (და, რაც საინტერესოა, სამმა მათგანმა — მსაჯთან შელაპარაკებისთვის), ჯარიმა კი პროტოკოლურია — 25 ათასი გირვანქა. ყველაზე მეტად დასასჯელი რიო ფერდინანდი ამ თანხას თავისი ყოველკვირეული 120 000 გირვანქიდან ისე გადაიხდის, რომ დანაკლისს ვერც შეამჩნევს.

მოკლედ, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ფერდინანდი, რომელმაც თამაშის ბოლოს მსაჯ მაიკ რაილის და მის თანაშემწეს, მეოთხე არბიტრ რობ სტაილსს, თუკი რამ ცუდი მოადგა ენაზე, ყველაფერი უთხრა, არ დაისაჯა და, სავარაუდოდ, არც დაისჯება. და ეს მაშინ, როდესაც ამ ორი გუნდის წინა შეხვედრა, აპრილში, ასევე აყალმაყალით დასრულდა, ანუ ეს პირველი შემთხვევა არ გახლდათ. შეგახსენებთ, რომ მაშინ, 1:2 დამარცხებით გაცეცხლებულმა გარი ნევილმა „სტემფორდ ბრიჯის" მომსახურე პერსონალთან (?!) იჩხუბა, ხოლო ფერდინანდმა სტიუარდ ქალს, ვითომ შემთხვევით მხარი გაკრა... „ჩელსის" თანამშრომლები კი, ამ დროს, მანჩესტერელ პატრის ევრას ლანძღავდნენ რასისტულად.

და მოხდა მას მერე რამე? რამე შეიცვალა საიმისოდ, რომ ფეხბურთის ასოციაციას „პატივისცემის" კამპანიის გამოცხადებით გული საგულეს ჰქონოდა?

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ამ თამაშში შვიდმა მანჩესტერელმა მიიღო ყვითელი ბარათი და მათგან სამმა, კრიშტიანუ რონალდუმ, დიმიტარ ბერბატოვმა და ფერდინანდმა სწორედ მსაჯთან კამათის (ასე დავარქვათ) გამო. გააფრთხილეს კაპიტანი გარი ნევილიც, ოღონდ ის, კიდევ კარგი, სპორტული მიზეზით. და უეინ რუნი? ის ეშლი კოულის წინააღმდეგ უხეშობისთვის გააყვითლეს, მერე კი, რაილი რომ გალანძღა, აღარაფერი დაამატეს.

და გახსოვთ, რომელი მსაჯია ხსენებული რაილი? ეს სწორედ ის კაცია, რომელსაც გასულ სეზონში, „ჩელსისა" და „ტოტენჰემის" შეხვედრაში კიდევ ერთი სკანდალური ისტორია გადახდა — ის ეშლი კოულს ტუქსავდა და ყვითელს ულებდა, ფეხბურთელმა კი ეს ამბავი ყურადღების ღირსადაც არ ჩააგდო — არბიტრს ზურგი შეაქცია, აქაოდა, ჩირადაც არ მიღირხარო. თუ გახსოვთ, ინგლისური საზოგადოება მაშინაც გაბრაზდა. სხვათაშორის, „პატივისცემის" კამპანიის იდეაც სწორედ ამ ინციდენტმა გააღვივა. სწორედ მაშინ იგრძნო საფეხბურთო ინგლისმა, რომ ფეხბურთელებს (მილიონერებს და პოპულარობით გატუტუცებულებს) არბიტრების პატივისცემა უნდა აიძულონ, მაგრამ... არა, განა „პატივისცემის" უფხო კამპანია იძულებაა?

თუმცა, ბევრი ჟურნალისტი მიიჩნევს, რომ ყველაფერი ფეხბურთელების ბრალიც არ არის. მათი აზრით, მსაჯებმა პატივისცემა უნდა მოიპოვონ! აი, მაგალითად, ცხრა თუ ათი დღის წინ სტოკში „ევერტონს" პენალტი არ დაუნიშნეს და ბევრი რომ იხმაურა, მწვრთნელი დევიდ მოიესიც გაუძევეს...

ხოლო ის, რაც მანჩესტერში, „სიტისა" და „ჩელსის" შეხვედრაში მოხდა, სხვა რამის მაგალითად გამოგვადგება: მსაჯმა ლონდონელი ჯონ ტერი მოედნიდან გააგდო, მაგრამ ფეხბურთის ასოციაციამ არბიტრის შეცდომა აღიარა და წითელი მოგვიანებით კაბინეტიდან გააუქმა — დაგვეთანხმებით, ასეთი ქცევა არბიტრთა ავტორიტეტის ზრდას ხელს არანაირად არ უწყობს.

საინტერესო რამეზე ამახვილებს ყურადღებას გაზეთი „სანი". ის წერს, რომ ხუთი წლის წინანდელ სეზონში ყვითლების საერთო რაოდენობა 159 იყო, რის შემდეგაც ამ რიცხვმა საგრძნობლად იკლო, მაგრამ, სამაგიეროდ, შეცდომებისა და სკანდალების რაოდენობამ იმატა და მერე როგორ.

ყუმბარასავით გასკდა კიდევ ერთი ამბავი: „ბოლტონის" მოთამაშემ კევინ ნოლანმა განაცხადა, რომ თანაგუნდელს არსენალელი თეო უოლკოტის მწყობრიდან გამოყვანა ურჩია.

„თეოსავით სწრაფი არავინ მინახავს. ამიტომაც ვუთხარი „არსენალთან" თამაშის წინ ნოელ სამუელს, მისთვის მწარედ მიერტყა და ენახა, პასუხის გასაცემად გაექჩებოდა თუ რა მოუვ[illegible], ფეხბური ძალისმიერი თამაშია. ჩვენ არა ვართ კალათბურთელები. ჩვენ კვირაში ხუთი დღის განმავლობაში დარბაზში საგანგებოდ ვვარჯიშობთ, რომ შემდეგ მოედანზე გავიდეთ და ასეთ მირტყმა-მორტყმებს გავუძლოთ".

და აი, რას ამბობს ამ ყველაფერზე ყოფილი არბიტრი ჯეთ უინტერი: „პატივისცემის კამპანიას ზედაც არავინ შეხედა. მაგალითად, წინა ტურში ყველამ ვნახეთ დენი გუთრის უხეშობა ნიუკასლში, მაგრამ ამისათვის ის არავის დაუსჯია. შემდეგ ჯონ ტერიმ „სიტისთან" რაგბის ილეთები ჩაატარა, რის გამოც გააძევეს, მაგრამ ასოციაციამ პირიქით, არბიტრი დასაჯა. ახლა კი, ლიგის ორი უდიდესი კლუბის შეხვედრაში მომხდარი აყალმაყალი რჩება ყურადღების გარეშე. „იუნაიტედს" 25 ათასით სჯიან? ეს ხომ ამ კლუბისთვის საერთოდ თანხა არ არის!"

**პაპუნა ძიდია**



კევინ ნოლანი თეო უოლკოტს
თავადაც გამილებული დასდევდა

# კარვალიუს და დეკუს ვადები დაუდგინეს



[illegible] და რიკარდუ კარვალიუ

**გაირკვა** პორტუგალიის ნაკრების და ლონდონის „ჩელსის" ფეხბურთელების, რიკარდუ კარვალიუსა და დეკუს სარეაბილიტაციო ვადები. კარვალიუს სამიოთხი კვირით მოუწევს დასვენება, თუმც მცველი უფრო სოლიდური ვადის დასახელებასაც ელოდა.

„თავიდან მეგონა, რომ ტრავმა ძალიან სერიოზული იყო. მომეჩვენა, თითქოს მუხლში რაღაც ჩამტყდარიყო და შემეშინდა, რომ ბევრი თამაშის გაცდენა მომიწევდა. შემდეგ, სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ მხოლოდ 3-4 კვირიანი დასვენება დამჭირდებოდა, თუმც ესეც საკმაოდ ცუდი ამბავია, რადგან ოქტომბერში „ჩელსის" და პორტუგალიის ნაკრებს მნიშვნელოვანი მატჩები ელით" — განაცხადა „არისტოკრატების" მცველმა.

შეგახსენებთ, რომ კარვალიუმ მუხლის ტრავმა „მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრისას მიიღო და მატჩის მე-12 წუთზე მის ნაცვლად მოედანზე ალექსი შევიდა.

რაც შეეხება დეკუს, მისთვის „საბედისწერო" იმავ „მანჩესტერთან" შეხვედრა აღმოჩნდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ წარმოშობით ბრაზილიელმა ნახევარმცველმა წვივის ტრავმა მატჩისწინა მოთელვაზე მიიღო და თავის თანაგუნდელთან შედარებით უფრო მეტად გაუმართლა — იგი ორი კვირით გამოვიდა მწყობრიდან.

**არჩილ ძოგახიძე**



# ტრეზეგეს მუხლები

**ტურინის** „იუვენტუსის“ ფრანგ ფორვარდ დავიდ ტრეზეგეს ორივე მუხლზე ოპერაცია გაუკეთეს. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მაგრამ „ტრეზეგოლს“ ახლა ხანგრძლივი სარეაბილიტაციო პერიოდი ელის.

შეგახსენებთ, რომ გამოცდილი თავდამსხმელი ჩემპიონთა ლიგაში „ზენიტთან“ მატჩისას დაშავდა. მან მარჯვენა მუხლის ტრავმა მიიღო და საოპერაციო გახდა. ექიმებმა მარცხენა მუხლზეც გაუკეთეს მენისკის ოპერაცია.

ოპტიმისტური ვარაუდით, ტრეზეგე იანვრის ბოლოს შეძლებს მინდორზე დაბრუნებას, მაგრამ რეალურად მას ალბათ უფრო დიდი დრო დასჭირდება. ეს კი ვინჩენცო იაკვინტასა და სებასტიან ჯოვინკოს თავის გამოჩენის კარგ შანსს აძლევს.

„მითხრეს, რომ ოპერაციამ კარგად ჩაიარა და ეს მახარებს. ტრეზეგე ორივე მუხლზე ერთად მოიშორებს პრობლემას, მაგრამ რეაბილიტაციისთვის, ცხადია, დრო დაჭირდება. რაც შეეხება ჯოვინკოს, მისი დრო ნელ-ნელა, მაგრამ აუცილებლად მოვა. სებასტიანს ისე არ უნდა ველოდოთ, როგორც მესიას. მას უნდა შევხედოთ, როგორც ახალგაზრდა ფეხბურთელს, რომელიც თანდათანობით უნდა განვითარდეს, ზედმეტი ზეწოლის გარეშე. ახლა მას თავდამსხმელების ოდნავ უკან ვათამაშებ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ წინ აღარ დავაყენებ. ჯოვინკოსი დიდი იმედი მაქვს და ვენდობი, ჭაბუკიც ბევრს შრომობს. რაც შეეხება სკუდეტოსთვის ბრძოლას, „მილანის“, „რომასა“ და „ფიორენტინას“ ჩამოწერა ჯერ ძალიან ნაადრევია. აქვე არიან „სამპდორია“, „ნაპოლი“ და „ლაციოც“, რომელმაც კარგად დაიწყო. ახლა მთელი ყურადღება „კატანიასთან“ მატჩზე გვაქვს გამახვილებული. გასულ სეზონში სიცილიელებმა პრობლემები შეგვიქმნეს. ერთხელ 1:0 მოვუგეთ, მეორედ კი ალესანდრო დელ პიეროს მიერ ბოლო წუთებზე გატანილი პენალტი დაგვჭირდა, რათა წაგებას გავქცეოდით“ — თქვა „იუვეს“ მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ.

ამასთან, „იუვენტუსმა“ თითქმის მიაღწია შეთანხმებას ჟორჟე ანდრადესთან კონტრაქტის გაწყვეტის თაობაზე. ყველაფერი საბოლოოდ და ოფიციალურად ალბათ ძალიან მალე გაფორმდება.

შეგახსენებთ, რომ „ბიანკონერიმ“ პორტუგალიელი მცველი 2007 წლის ზაფხულში ლა კორუნიის „დეპორტივოდან“ დაახლოებით 12 მილიონ ევროდ დაიმატა, მაგრამ ოთხი მატჩის ჩატარების შემდეგ, ანდრადემ მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და მთელი სეზონი გააცდინა. ახლა კი, როცა მის დაბრუნებას ელოდნენ, მას ტრავმა გაუმიზეზდა და...

**გიორგი კაკაბაძე**

# ისევ ის ჯილაა...

**მიმდინარე** სეზონი ალბერტო ჯილარდინომ ბრწყინვალედ დაიწყო და ძველი „ჯილა“ გაგვახსენა. ცხადია, მასზე „ფიორენტინაში“, თანყოფილ და კარგად ნაცნობ მწვრთნელთან ჩეზარე პრანდელისთან გადასვლამ იმოქმედა. ცოტა ხნის წინ, „იების“ თავკაცმა 26 წლის თავდამსხმელისადმი საქებარი სიტყვები არ დაიშურა — ფორმა აღიდგინა, ჩემპიონთა ლიგაშიც და სერია A-შიც ბრწყინვალედ თამაშობს და ნელ-ნელა გუნდის ახალ ლიდერად ყალიბდებაო. არ დააყოვნა ჯილარდინოს პასუხმაც.



„ბოლო წლებში, როცა საქმე კარგად არ მიმდიოდა, სიმშვიდეს ვინარჩუნებდი, როგორც მინდორზე, ასევე მის გარეთ. ვიცოდი, ადრე თუ გვიან, ისევ ძველებურად ავთამაშდებოდი. მიხარია, რომ ეს „ფიორენტინას“ რიგებში მოხდა. თავდაუზოგავად-ვარჯიშს და შრომას ვაგრძელებ, რის შედეგსაც ნელნელა ვხედავ და ეს მახარებს. რასაკვირველია, ამ ყველაფერს დამრიგებლისა და თანაგუნდელების გარეშე ვერ მივაღწევდი. თავდაჯერებულობა და რწმენა მათ შემმატეს. რომ არა ისინი, ახლა ამ სიტყვებს ვერ ვიტყოდი. იმედია, „იებს“ მაქსიმალურ სარგებელს მოვუტან“ — თქვა ჯილარდინომ.

**კოკი კანდელაკი**

# რონალდო მინდორს დაუბრუნდა



**ბრაზილიელი** ფორვარდი რონალდო დაახლოებით ექვსთვიანი პაუზის შემდეგ მინდორს დაუბრუნდა. 32 წლის ფეხბურთელმა „ფლამენგოს“ ახალგაზრდული გუნდის შემადგენლობაში ითამაშა და „ფლამენგოშივე“ აგრძელებს ვარჯიშს.

შეგახსენებთ, რომ თებერვალში რონალდომ მუხლის მორიგი სერიოზული ტრავმა მიიღო და მაშინ იმასაც ამბობდნენ, ბრაზილიელი კარიერას დაასრულებსო.

„ძალიან შემართული ვიყავი, რადგან ამდენხნიანი პაუზის მერე მინდორს დავუბრუნდი და ეს ბევრს ნიშნავს. ფეხბურთი ძლიერ მომნატრებია“ — თქვა რონალდომ.

შეგახსენებთ, რომ „კიჭას“ „მილანთან“ კონტრაქტი ივნისში ამოეწურა და ახალ შეთანხმებაზე ლაპარაკი აღარ ყოფილა. რონალდო თავისუფალი აგენტია და ბოლო პერიოდში მას პსჟ-სა და „სიტის“ უკავშირებენ.

**კოკი კანდელაკი**

**IV ტური**

**დღეს**

იუვენტუსი — კატანია
ინტერი — ლეჩე
სიენა — სამპდორია
ჯენოა — რომა
რეჯინა — მილანი
კიევო — ტორინო
ნაპოლი — პალერმო
ბოლონია — უდინეზე
რომა — ფიორენტინა
ატალანტა — კალიარი

# იტალია

## პოპულარული განსაკუთრებული

**პირველი** სამი ტურის მერე გალიდერებული „ინტერიც“ და „იუვენტუსიც“ სახლში თამაშობენ და ორივეს მეტ-ნაკლებად სუსტი მეტოქე ჰყავს. თუმცა ტურინელებს, ალბათ, გაცილებით მეტი ოფლისღვრა მოუწევთ „კატანიასთან“ სამი ქულის მოსაპოვებლად. აი, „ნერაძურიმ“ კი, წესით, იოლად უნდა სძლიოს „ლეჩეს“.

ტრადიციული სკანდალებისა და ხმაურის შემდეგ, იტალიაში ჟოზე მაურინიუს პოპულარობა ნელ-ნელა მატულობს, რადგან გულშემატკივრებსაც და სპეციალისტებსაც მოსწონთ, რომ პორტუგალიელმა უკვე დაატყო ხელი „ინტერს“ და მისი ტაქტიკური მონახაზები ჯერეჯერობით მშვენივრად გამოიყურება.

„განსაკუთრებული“ ამჯერეადაც საყვარელი 4-3-3-თ თამაშს აპირებს. ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ადრიანო, მარიო ბალოტელი, ხულიო კრუსი, ამანტინო მანსინი, რიკარდუ კუარეშმა... ყველა ეს შემტევი ფეხბურთელი მაურინიუს განკარგულებაშია.

ვალტერ ძენგას „კატანიას“ გრანდების გამწარება ეხერხება და ამჯერად ამას ტურინში შეეცდება. ცხადია, „იუვენტუსს“ სულ სხვა გეგმები აქვს. „ბებერ ქალბატონს“ დაუბრუნდა კაპიტანი ალესანდრო დელ პიერო, რომელმაც მცირე ტრავმა მოიშუშა. ჯანლუიჯი ბუფონს კი, კლუბის ექიმების თქმით, სერია A-ს ორი მატჩის გამოტოვება მოუწევს. არც ნაოპერაციები დავიდ ტრეზეგე იქნება. კრისტიან პოულსენისა და კრისტიანო ძანეტის თამაში სათუოა.

„ჯენოამ“ ამ სეზონში უკვე მოასწრო საკუთარ კედლებში „მილანის“ წაქცევა და დღეს იგივეს „რომას“ დაუპირებს. თავის მხრივ, დედაქალაქელებს, მძიმე სტარტის შემდეგ, ქულები ძალიან სჭირდებათ.

ფრანჩესკო ტოტი, ჟუანი, მაქს ტონეტო, დავიდ პისარო და ჟულიუ ბაპტიშტა ისევ დაშავებულნი არიან. ბოლომდე ვერ მომჯობინდა სიმონე პეროტაც, ვინც, ალბათ, სათადარიგოთა სკამზე იქნება და თამაშში მოგვიანებით ჩაერთვება.

„ლაციოსთან“ შთამბეჭდავი მოგების მერე, კარლო ანჩელოტიმ და მთელმა „მილანმა“ ცოტა ამოისუნთქეს, მაგრამ ახლა ამას „რეჯინასთან“ საგარეო მატჩში წარმატება თუ არ მოჰყვა...

ალესანდრო ნესტა, სენდეროსი და ფილიპო ინძაგი კვლავ ლაზარეთში რჩებიან. თუმცა „მილანისთვის“ მთავარი პრობლემა პირლოს არყოფნაა. „რეჯინას“ ფრანჩესკო კოცა და ემანუელ კაშონე აკლია.

საწყისი ორი ტურის მერე, „ლაციო“ მოულოდნელად ლიდერობდა, მაგრამ „მილანთან“ სამარცხვინო ანგარიშით მარცხმა რომაელები ციდან მიწაზე დააბრუნა. ახლა მათ „ფიორენტინასთან“ რთული საშინაო მატჩი ელით, მაგრამ ფანების თვალში რეაბილიტაციის მოხდენასა და მოგებას უნდა შეეცადნენ.

„ბიანკოჩელესტი“ ტომაზო როკის, ოსმან დაბოს, სიმონე დელ ნეროსა და ფაბიო ფირმანის მოისაკლისებს. „იებს“ კი მანუელ პასკუალი არ ეყოლებათ.

ძალიან საინტერესო იქნება „ნაპოლი“ — „პალერმო“, „ბოლონია“ — „უდინეზე“ და „სიენა“ — „სამპდორიაც“.

**გიორგი კაკაბაძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ინტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 |
| 2 იუვენტუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 |
| 3 ლაციო | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 2 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 0 | 3 |
| 4 პალერმო | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 1 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 3 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 |
| 5 კატანია | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 6 ატალანტა | 3 | 2 | 0 | 1 | 2:1 | 1 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 |
| 7 ნაპოლი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 1 | 5 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 |
| 8 ტორინო | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 9 რომა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 |
| 10 უდინეზე | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 11 ფიორენტინა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 12 სიენა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 13 კიევო | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 14 ლეჩე | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 15 მილანი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 16 ჯენოა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 0 |
| 17 ბოლონია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | -1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 |
| 18 სამპდორია | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | -2 | 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 19 რეჯინა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | -4 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 |
| 20 კალიარი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | -5 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |


უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი

# უეფა ჩაწყობილი მატჩების წინააღმდეგ

**შესაძლოა,** უეფამ 2007 წლის აგვისტოდან ამ ორგანიზაციის ეგიდით ჩატარებული 25 მატჩის ჩაწყობა გამოავლინოს. უეფას პრესატაშემ უილიამ გაიარმა გერმანული ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში კონკრეტული მატჩიც კი დაასახელა.

„ახლა დარწმუნებულნი ვართ, რომ „მაკედონიასა“ და ბულგარულ „ჩერნო მორეს“ შორის გამართულ შეხვედრაში ჩაწყობას ნამდვილად ჰქონდა ადგილი — თქვა გაიარმა — როდესაც ჩვენს ხელთ გარიგების ყველა დამადასტურებელი საბუთი იქნება, საქმეს სადისციპლინო კომისიას გადავცემთ. აუცილებლად შევისწავლით ყველა მატჩს, რომელიც დაგვაეჭვეს. უახლოეს მომავალში გამოძიების ჩასატარებლად კომისია შეიქმნება და ყველა კლუბის მიმართ, რომლებიც ასეთი სახის მატჩებში მონაწილეობდნენ, სანქციები იქნება გამოყენებული“.

უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი, თავის მხრივ, იმ ფეხბურთელებს დაემუქრა, რომლებიც მატჩების ჩაწყობას გაბედავენ.

„ამ პრობლემას უფრო საგულდაგულოდ უნდა მივხედოთ. ჩვენს განკარგულებაშია სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც ყველა ამდაგვარი საეჭვო შეხვედრის შესახებ გვატყობინებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. თუ მთლიანი მატჩის ყიდვა შეიძლება, მაშინ საერთოდ, რა საჭიროა ფეხბურთის თამაში? განსაკუთრებით იმ მოთამაშეების გამო ვღელავთ, რომელნიც შეხვედრის დათომბაზე თანხმდებიან. ასეთი მოთამაშეები სამუდამო დისკვალიფიკაციას იმსახურებენ. ამ მოვლენას ისევე მკაცრად უნდა მივუდგეთ, როგორც რასიზმს ან ხულიგნობას“ — აღნიშნა ევროპის საფეხბურთო მმართველმა.

**არჩილ ძოგახიძე**

# ახალი არენა ჰერტასთვის

**ბერლინის** „ჰერტა“ ახალი სტადიონის მშენებლობის შესაძლებლობას განიხილავს. ბოლო წლებში „ჰერტა“ საშინაო მატჩებს ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე“ მართავს, რომელიც კლუბს 2017 წლამდე იჯარით აქვს აღებული. „ოლიმპიური სტადიონი“ 75 ათას მაყურებელს იტევს, თუმცა მოედნის გარშემო სარბენი ბილიკების განლაგების გამო, საფეხბურთო მატჩების ჩატარებისთვის იდეალურ ადგილს ნამდვილად არ წარმოადგენს. ბერლინური კლუბის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ უახლოეს მომავალში ახალი სტადიონის აგებისთვის შესაფერის ადგილს მოძებნის, სადაც მაყურებლისთვის უკეთესი პირობების შეთავაზება შეეძლება.


ბერლინის „ოლიმპიაშტადიონი“

ახალი არენის აშენება, სავარაუდოდ, ბილეთების გაყიდვასაც გაზრდის, როგორც ეს ჰამბურგის ან მიუნხენის შემთხვევაში მოხდა.

**არჩილ ძოგახიძე**

# დორტმუნდული ბოდიში


დიტმარ ჰოპს (შუაში) დორტმუნდელი ულტრასები ემუქრებიან

**გერმანული** „დორტმუნდის“ ხელმძღვანელობამ ბუნდესლიგის მე-5 ტურში „ჰოფენჰაიმთან“ მატჩისას თავისი გულშემატკივრების უკადრისი ქცევის გამო ოფიციალურად მოიხადა ბოდიში.

„მანჰაიმში მომხდარის გამო ძალიან გვრცხვენია. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ასეთმა პირებმა, რომელთაც ჩვენს გულშემატკივრებად მოაქვთ, შემდგომში კლუბის რეპუტაცია აღარ შელახონ“ — განცხადებულია დორტმუნდელთა ოფიციალურ ვებგვერდზე.

შეგახსენებთ, რომ ამ შეხვედრისას სტუმარი გუნდის ფანები „ჰოფენჰაიმის“ მფლობელის დიტმარ ჰოპის მისამართით შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს გაყვიროდნენ. ერთ-ერთმა ვაი-გულშემატკივარმა კი ტრიბუნებზე მილიარდერი ჰოპის მიმართ მუქარის შემცველი ბანერიც გამოფინა.

**არჩილ ძოგახიძე**

| IV ტური |
|---|
| **დღეს** |
| ბარსელონა — ბეტისი |
| ვილიარეალი — რასინგი |
| სევილია — ესპანიოლი |
| ოსასუნა — დეპორტივო |
| რეალი — სპორტინგი |
| ხეტაფე — ატლეტიკო |
| **ხვალ** |
| უელვა — ბილბაო |
| ვალიადოლიდი — ალმერია |
| მალაგა — ვალენსია |
| მალიორკა — ნუმანსია |

## ესპანეთი

# გოლიანი ბარსა და უგოლო ბეტისი

**მოფერიანებული** „ბარსელონა“ „ბეტისს“ უმასპინძლებს, რომელსაც 27 აპრილის მერე არ მოუგია, ამ სეზონში კი გოლიც არ გაუტანია. „ბარსამ“ ჩემპიონთა ლიგაში ლისაბონის „სპორტინგს“ სამი, პრიმერაში კი ხიხონის „სპორტინგს“ ექვსი გოლი გაუტანა. კატალონიელებს ტრავმირებული ჰყავთ ტიერი ანრი, ალექსანდრ გლები და გაბი მილიტო, სევილიელებს — მარკო ბაბიჩი, ხისკო და რაფაელ სობისი.

„ბარსელონასგან“ განადგურებული „სპორტინგი“ მადრიდის „რეალს“ ეწვევა. სტუმართა მწვრთნელმა მანუელ პრესიადომ თქვა: „სამივე მატჩი წავაგეთ და ბოლო ადგილზე ვართ, მაგრამ ჩემი გუნდის რეალურ ძალაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. დაცვაში თამაში უნდა გამოვასწოროთ და მადრიდში კარგი შედეგის მიღწევას შევეცდებით“.

„რეალს“ ბოლო ორ მატჩში გოლი არ გაუშვია, ხიხონელებმა კი სამ ტურში ათის გაშვება მოასწრეს. „სპორტინგმა“ ბოლოს მადრიდში 1996 წელს მოიგო. მასპინძლებს ფერნანდო გაგო, უესლი სნეიდერი და გუტი არ ეყოლებათ.

გასულ ტურში შინ „რეალთან“ დამარცხებული „რასინგი“ ვილიარეალს ესტუმრება, სადაც 2003 წლის თებერვლის აქეთ არ მოუგია და შემდეგ ხუთიდან ოთხჯერ დამარცხდა. შესაძლოა, „ვილიარეალს“ ნიჰათი დაუბრუნდეს, ჯუზეპე როსის თამაში კი საეჭვოა. სანტანდერელებს პედრო მუნიტისი და ესეკიელ გარაი დააკლდებათ.

ორი წაუგებელი გუნდი — „სევილია“ და „ესპანიოლი“ — ერთმანეთს დღეს „სანჩეს პისხუანზე“ შეხვდება. ბარსელონელებს ხესუს ლაკრუსი, რუფეტე, ივან დე ლა პენია და ვალდო ჰყავთ ტრავმირებული, სევილიელებს კი რენატო, ჟულიენ ესკუდე, არუნა კონე და ხავი ნავარო.

სეზონში პირველი გამარჯვების მოპოვებას შეეცდება „ოსასუნა“, რომელიც „დეპორტივოს“ უმასპინძლებს. „დეპორმა“ პირველ ტურში „რეალს“ 2:1 მოუგო, მას შემდეგ კი ზედიზედ სამ მატჩში (მათ შორის, უეფას თასზე) გოლი არ გაუტანია. სტუმრებს მისტა და ივან რიკი ვერ დაეხმარებიან, ხოლო დამხვდურებს — სანტი ესკერო და ვალტერ პანდიანი.

პრიმერადივიზიონში ახვლის (2005) შემდეგ „ხეტაფეს“ შინ მადრიდის „ატლეტიკო“ არ დაუმარცხებია, სულ კი რვა მატჩში მხოლოდ ერთხელ, სტუმრად მოუგო. „ხეტაფეს“ ალბათ დღესაც გაუჭირდება ნავსის გატეხვა, რადგან „ატლეტიკო“ კარგ ფორმაშია — ბოლო ორ მატჩში შვიდი გოლი გაიტანა და ერთიც არ გაუშვია. სტუმრებს ჯონი ჰეიტინგა და დიეგო ფორლანი დააკლდებათ.

„უელვა“ „ბილბაოს“ დამარცხებას შეეცდება, რომელსაც ბოლოს 2003 წელს მოუგო. ბასკებს ხოსება გარმენდია, პაბლო ორბაისი და ინიაკი მუნიოსი ჰყავთ ტრავმირებული, ხოლო „უელვას“ — ბეტუ, სებასტიან ნაიარი და ხავი გერერო.

მეორე ადგილზე მოულოდნელად გამოჭიმული „ალმერია“ ვალიადოლიდში ჩაბრძანდება, სადაც ბოლოს 2005-ის მაისში მოიგო, როცა ეს გუნდები სეგუნდაში თამაშობდნენ.

სეზონში პირველი გამარჯვებისთვის იბრძოლებს „მალაგაც“, რომელიც ლიდერ „ვალენსიას“ უმასპინძლებს, მაგრამ მალაგელებს მოგება გაუჭირდებათ, რაკი სამ ტურში გოლი არ გაუტანიათ. ვალენსიელებს რუბენ ბარახა და დავიდ სილვა არ ეყოლებათ.

**მაჟა ხუციშვილი**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ვალენსია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 2 ალმერია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 |
| 3 ვილიარეალი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 |
| 4 ესპანიოლი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 5 ატლეტიკო | 3 | 2 | 0 | 1 | 9:2 | 7 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 8:0 | 8 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 6 რეალი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 2 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:3 | 1 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 3 |
| 7 სევილია | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 1 | 5 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:3 | 1 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 |
| 8 ხეტაფე | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 1 | 5 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 |
| 11724 | მოზერუელი-ჰამილტონი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11725 | პარტიკი-რეინჯერსი | 10.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 1.90 |
| 11733 | მეცი-ტრუა | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11842 | დორტმუნდი-ჰერტა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11843 | ჰამბურგი-ბოხუმი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11844 | ობერნოილანდი-ვოლფსბურგი | 12.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 1.65 |
| 11845 | ოფენბახი-კარლსრუე | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11846 | ვეენი-ალემანია | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11847 | ფრაიბურგი-ჰოფენჰაიმი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11848 | კარლ ცაისი-აინტრახტი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11963 | ეშტორილი-ოლიანენსე | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11964 | ამადორა-ვიზელა | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11965 | ლეიშოეში-რიო ავე | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11966 | ტროფენსე-ლეირია | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11967 | კოვილია-ჟილ ვისენტე | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11968 | ფრეამუნდე-გონდომარი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11969 | მონაკო-პსჟ | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11970 | მონპელიე-ლილი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11971 | სოშო-მარსელი | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11972 | ლორიანი-ლანსი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11973 | რენი-ლე მანი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11974 | გრენობლი-ნანსი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11975 | გენგამი-სტ ეტიენი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11976 | ლე ავრი-კაენი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11977 | ბაიერნი-ნიურნბერგი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11980 | ემენი-ტვენტე | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11981 | ვენლო-ვოლენდამი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11982 | მაასტრიხტი-ჰერენვენი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11983 | ფეიენოორდი-ოსი | 1.45 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11986 | შტუტგარტი-არმინია | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11253 | უელვა-ბილბაო | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11255 | ვალიადოლიდი-ალმერია | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11257 | მალაგა-ვალენსია | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11262 | მალიორკა-ნუმანსია | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11984 | აიაქსი-უტრეხტი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11001 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |

კალათბურთი

# სუპერლიგამ დრო დათქვა

## ვინ ითამაშებს, საკითხავი აი, ეს არის



მას შემდეგ, რაც საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა წლევანდელი სეზონი დაასრულა, ქართველი კალათბურთის მოყვარულთა ინტერესი ისევ შიდა ჩემპიონატზე გადაერთო. ბოლო პერიოდში ბევრი ითქვა ჩვენი სუპერლიგის შესახებ. უფრო კონკრეტულად კი, როდის დაიწყება, საერთოდ დაიწყება თუ არა და რამდენი გუნდი მიიღებს მასში მონაწილეობას. მოკლედ, საკმაოდ ბევრი შეკითხვა დაგროვდა და ჩვენც გადავწყვიტეთ, კალათბურთის ფედერაციაში მიგვეღო მათზე პასუხები.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს საკალათბურთო სუპერლიგის დირექტორს გიორგი ზაბახიძეს ვკითხეთ

— თუ გადაწყდა, როდის დაიწყება ჩემპიონატი?

— დიახ, სუპერლიგის დაწყების თარიღი საბოლოოდ დადგინდა, ჩემპიონატი 19 ოქტომბერს დაიწყება.

— რამდენი გუნდი მიიღებს მასში მონაწილეობას?

— ჯერჯერობით ამაზე დაზუსტებით ლაპარაკი ნაადრევია, რადგან ჩემპიონატში მონაწილეობასთან დაკავშირებით კლუბებმა ახლა უნდა შემოიტანონ განაცხადები.

— **არის ხმები, რომ წელს აღარ ითამაშებს „ვითა", რომელიც რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ შარშან გაცოცხლდა.**

— ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით, ჯობს, თვითონ გუნდის წარმომადგენლებს ჰკითხოთ.

— **ჩვენს ჩემპიონატში თამაშის სურვილი რამდენიმე ახალმა კლუბმა გამოთქვა...**

— ეს მართლაც ასეა, მაგრამ ოფიციალურად არაფერია გადაწყვეტილი. აქედან გამომდინარე, ზუსტ პასუხს ნამდვილად ვერ მოგცემთ. სავარაუდოდ, ოქტომბრის დასაწყისისთვის ყველაფერი გაირკვევა.

**გიორგი არაბული**

# სასოფლო მეურნეობა ჩვენს კალათბურთში

საქართველო პატარა ქვეყანაა და შესაბამისად, ხმებიც ადვილად ვრცელდება. შევიტყვეთ, რომ საკალათბურთო სუპერლიგაში თამაშის სურვილი გამოთქვა და გუნდი შექმნა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა. ამ კლუბის მწვრთნელობა კი მიხეილ კობეშავიძეს დაეკისრა. გუშინ სწორედ მას გავესაუბრეთ ამ საკითხთან დაკავშირებით



— **როდის გადაწყდა ახალი გუნდის შექმნა?**

— ამაზე ჯერ კიდევ შარშან იყო საუბარი, მაგრამ მაშინ არ გამოვიდა, წელს კი კლუბი ოფიციალურად შეიქმნა. ჩემპიონატში მონაწილეობასთან დაკავშირებით საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში უკვე შევიტანეთ განცხადება.

— **როგორი პირობებია გუნდში?**

— საქართველოს კვალობაზე პირობები მართლაც კარგია. რაც მთავარია, უნივერსიტეტის ბაზაზე გვაქვს საკუთარი სავარჯიშო დარბაზი, სადაც გათბობაც არის და ათასკაციანი ტრიბუნაც. ერთი სიტყვით, ყველა პირობაა სამუშაოდ.

— **იმაზეც იყო საუბარი, რომ დარბაზი საფუძვლიანად გარემონტებულიყო, დამონტაჟებულიყო ისეთივე ფარები და პარკეტი, როგორიც სპორტის სასახლეშია.**

— ეს იდეა ახლაც ძალაშია. უბრალოდ, წელს არ ესწრება ამ ყველაფრის გაკეთება. აქედან გამომდინარე, მივიღეთ გადაწყვეტილება, წლევანდელი სეზონი ჩვეულებრივად ჩავამთავროთ, გაისად კი, როცა სუპერლიგა დასრულდება, დარბაზის საფუძვლიანი რემონტი დაიწყება. დამონტაჟდება ახალი ევროპული, უმაღლესი ხარისხის საფარი, ფარები, სკამები. ერთი სიტყვით, მივიღებთ თანამედროვე პატარა და კომფორტულ დარბაზს.

— **თქვენი გუნდის წლევანდელი გეგმების შესახებ გვითხარით, რა მიზანი გაქვთ დასახული?**

— პირველივე წელს ჩემპიონობის ამბიცია ნამდვილად არ გვაქვს, ეს თავის მოტყუება იქნება. პირველ რიგში გვინდა, მებრძოლი გუნდი ჩამოვაყალიბოთ, რომელიც ყველა მეტოქესთან ბოლომდე დაიხარჯება და გამარჯვებისთვის იბრძოლებს. დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

— **თუ შეგიძლიათ, დაგვისახელოთ ის კალათბურთელები, რომლებიც გუნდში ითამაშებენ?**

— ჯერჯერობით გუნდის დაკომპლექტება არ დასრულებულა, უახლოეს დღეებში ყველაფერი გაირკვევა და მაშინ ზუსტ შემადგენლობასაც მოგაწვდით.

— **ძირითადად ახალგაზრდებზე გააკეთებთ აქცენტს, თუ უფრო გამოცდილებს ათამაშებთ?**

— ძირითადად გუნდი ახალგაზრდა მოთამაშეებით დაკომპლექტდება, თუმც გვეყოლება რამდენიმე გამოცდილი კალათბურთელიც, ერთი სიტყვით, საუკეთესო ნაერთი უნდა მივიღოთ — ახალგაზრდების და გამოცდილების.

— **უკვე დაიწყეთ ვარჯიში?**

— დიახ, ჯერჯერობით მთავარი აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე გვაქვს, სულ მალე კი დარბაზშიც შევალთ და უშუალოდ სათამაშო კომპონენტების დახვეწას დავიწყებთ.

**გიორგი არაბული**

ძიუდო




ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველომ მედლები დაარიგა

**22-23 სექტემბერს** სკა-ს სპორტკომპლექსში ძიუდოში 23-წლამდელთა საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდა.

შეჯიბრის პირველ დღეს 60, 66 და 73 კილოგრამ წონით კატეგორიების ფალავნები გამოვიდნენ ტატამზე, ხოლო მეორე დღეს 81, 90, 100 და მძიმე კატეგორიებში გაირკვა ჩემპიონ-პრიზიორები.

მოჭიდავეები საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ. ჩემპიონატი წარმომადგენლობითი და დაძაბული გამოდგა. შეჯიბრის ბევრი მონაწილე საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავს და მათი მიღწევები ორმაგად საინტერესო უნდა იყოს გულშემატკივრისთვის.

**ზურაბ მიგრიაული**

**60 კგ**
1. ბეთქილ შეკვანი
2. ამირან პაპინაშვილი
3. ლევან ჩუბინიძე
3. სოსო ნიჟარაძე

**66 კგ**
1. ვანო დავითაშვილი
2. უჩა ხუციშვილი
3. ბექა ბერიაშვილი
3. ზვიად კაპანაძე

**73 კგ**
1. თენგიზ პაპოშვილი
2. ამბაკო ავალიანი
3. ბიძინა სარუჯაშვილი
3. ზვიად ბაზანდარაშვილი

**81 კგ**
1. გიგა წიკლაური
2. ნოდარ მეგალიშვილი
3. გოჩა ლომთაძე
3. ვახტანგ სარაჯიშვილი

**90 კგ**
1. გიორგი პეპინაშვილი
2. თამაზ მუთოშვილი
3. ზვიად გოგოჭერი
3. ლაშა გურული

**100 კგ**
1. დავით ლორიაშვილი
2. მალხაზ ნიჟარაძე
3. რეზო მიქაბერიძე
3. სანდრო თევდორაშვილი

**+100 კგ**
1. ადამ ოქრუაშვილი
2. ვახტანგ ზოიძე
3. მირიან გონჯილაშვილი
3. ვანო გოგოლაშვილი

პარაოლიმპიზმი

# პარა მერვე ოლიმპიური

**ოლიმპიური** თამაშების დასრულებიდან ორიოდ კვირაში პეკინმა მე-13 პარაოლიმპიურ თამაშებსაც უმასპინძლა. შეჯიბრება 6-დან 17 სექტემბრამდე მიმდინარეობდა და მასში ქართული სპორტის ისტორიაში პირველად მონაწილეობდა ქართული დელეგაცია. თამაშებში საქართველოს სახელით ერთადერთი სპორტსმენი იაგო გორგოძე გამოვიდა. ის წოლჭიმში შეეცადა მედლის მოპოვებას, მაგრამ მხოლოდ მე-8 ადგილს დასჯერდა, რაც ურიგო შედეგი ნამდვილად არ არის.

წოლჭიმი შტანგის დაწოლილ მდგომარეობაში აწევას ნიშნავს. იაგო 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოდიოდა. მან 140 კილოგრამი აწია.

**ზურაბ მიგრიაული**

# თურქეთს საქართველო გაუხარდა

## შოთა გრიშიკაშვილი უტევს და იცავს



გალინა კეთილაძის ფოტო

თურქეთის ხელბურთელთა სუპერლიგის „ორმანში“ სამი ქართველი — შოთა გრიშიკაშვილი და ძმები მამია და გიორგი კობახიძეები — თამაშობს. „ორმანი“ გასულ სეზონში მეორე ლიგაში იყო და წლეულს უმაღლესში პირველ სეზონს ატარებს. საამსეზონო მიზანი კი არცთუ მოკრძალებულია. თორმეტგუნდა პირველობაში ადგილის შენარჩუნებას უეჭველ ამბად თვლიან და ცხრილში რაც შეიძლება, მაღლა დამკვიდრებას აპირებენ... გუშინ თურქეთში შოთა გრიშიკაშვილს შევეხმიანეთ, ვინც საქართველოს ნაკრების წევრია. ჯერ საკლუბო ამბებს შევეხეთ, მერე კი სანაკრებოსაც გადავწვდით

— ჩემპიონატში უკვე ორი ტური ჩატარდა და ორივე თამაში მოვიგეთ. „ანკარა“ და „რიზე“ დავამარცხეთ. ისინი ფავორიტები არ არიან, მაგრამ იოლი თამაშები არ გვქონია. საერთოდ, საკმაოდ ნორმალური ჩემპიონატი აქვთ და ვერავისთან გაისეირნებ. განსაკუთრებით რთული სტუმრად თამაშია. აქაური გულშემატკივრების ამბავი გეცოდინებათ, ყველაფერს ანგრევენ, თან მსაჯები ცოტა მასპინძლებისკენ იხრებიან ხოლმე.

— ქართველებს სათამაშო დრო ბევრი გაქვთ თუ გუნდში კონკურენცია დიდია?

— მეც და კობახიძეებიც ძირითადის მოთამაშეები ვართ. მუდმივად ვთამაშობ, თუ ისე მოხდა, რომ შეტევაში არ წამივიდა კარგად საქმე, მაშინ მწვრთნელი დაცვითი ფუნქციების შესრულებას მავალებს და მოედანზე ყოფნა მაინც მიწევს.

— „ორმანში“ თქვენს გარდა კიდევ არიან ლეგიონერები?

— არა, მეორე ლიგიდან მარტო ჩვენ გადმოვედით, ხალხი გაუშვეს და ახალი გუნდი გაკეთდა. იმ შემადგენლობიდან სამი კაცი დავრჩით. ისე, თურქეთში ბევრი ლეგიონერი თამაშობს: უკრაინელები, ხორვატები, რუსები... საკმაოდ კარგი ჩემპიონატია და პირველობისთვის 3-4 გუნდი იბრძვის. ერთ-ერთი ფავორიტი „ბეშიქთაშია“, რომელსაც მომავალ ტურში შევხვდებით.

— „ორმანს“ როგორი ამბიციები აქვს, არის ისეთი შემადგენლობა, რომ მოწინავეებში გაერიოთ?

— ხელმძღვანელობას სურს, რაც შეიძლება, კარგად ვითამაშოთ. ამ ხელბურთელებით ლიგაში რომ დავრჩებით, ნამდვილად ვიცით, მაგრამ ჩვენ უფრო მეტის გაკეთება გვინდა, ჩემპიონატი კარგად დავიწყეთ, ორი მოგება გვაქვს და ვნახოთ, რა იქნება...

— ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევს ველარ ითამაშებს...

— გავიგე და მეწყინა. ერთი ნაკრები გვყავს ნორმალური, ჩემპიონატი ძალიან დაბალი დონისაა და ახლა შესარჩევში რომ ვერ გამოვალთ, ქართულ ხელბურთს კიდევ უფრო გაუჭირდება. ყველას ძალიან გვინდოდა, გვეთამაშა...

— ამაზე თურქებს ხომ არაფერი უთქვამთ? ისინი ჯგუფში ჩვენთან ერთად იყვნენ.

— არაფერი. ისე, გაუხარდათ ალბათ, რაც უნდა იყოს, კონკურენტები ვიყავით. მჯერა, სულ ცოტა, სახლში მაინც მოვუგებდით. დაუმარცხებელი გუნდი ნამდვილად არ ჰყავთ.

**ლექსო მაისურაძე**

# რუსიას რუმინული გოლები

**რუმინეთის** ხელბურთელთა ჩემპიონატში მორიგი ტურის მატჩები გაიმართა და ქართველმა ხელბურთელებმა თავი გამოიჩინეს.

„ბაკაუმ“, რომლის ძირითადი მეკარე საქართველოს ნაკრების კაპიტანი შოთა თევზაძეა, 33:31 მოიგო და მორიგი ქულები ჩაიწერა.

ამას წინათ შოთამ გვითხრა „ბაკაუს“ ჩემპიონატში სერიოზული ამბიციები ექნება და ჯერჯერობით მისი ნათქვამი ამართლებს, რადგან თევზაძის გუნდი სალიდერო ქულებს აგროვებს.

ბუქარესტის „დინამოს“ ერთ-ერთი ლიდერი ვლადიმერ რუსია კი შვიდი გოლით გამოირჩა. მისიანებმა სტუმრად „ტირგუჯიუს“ 34:26 მოუგეს და სატურნირო ვითარებაც გამოიკეთეს.

**ლექსო მაისურაძე**



ვლადიმერ რუსია

გალინა კეთილაძის ფოტო

2008 წლის 15 ოქტომბერს, 12 საათზე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ტარდება საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.

დელეგატთა რეგისტრაცია დაიწყება 11 საათზე.

პრეზიდენტობის კანდიდატთა განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2008 წლის 10 ოქტომბერი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



კოკაი



ტოჩინოშინი

# მეორე ქართული ჯახი ტოკიოში

**სუმოს** ქართველი ქომაგისთვის დღეს მნიშვნელოვანი დღეა. ერთმანეთს უმაღლეს მაკუჩი დივიზიონში მოასპარეზე ორი ქართველი ფალავანი უნდა დაუპირისპირდეს — აღმოსავლეთის მეათე გაეგეშირა ტოჩინოშინი და დასავლეთის მეთექვსმეტე მაეგეშირა კოკაი.

ეს ამ ორი რაკიშის რიგით მეორე შეხვედრა იქნება. პირველად ისინი ერთმანეთს ივლისის ბაშოზე შეხვდნენ. მაშინ საშინელ ფორმაში მყოფმა ლევან ცაგურიამ მოახერხა და მოუგო ლევან გორგაძეს.

დღეს ჩვენთვის მართლაც ძალიან საინტერესო შეხვედრა იქნება. რაც მთავარია, ორივე ეს სუმოისტი ახლა საკმაოდ კარგად ჭიდაობს და, შესაბამისად, ამ შეხვედრას სატურნირო თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობა აქვს. კოკაი მოგების შემთხვევაში 8 გამარჯვებას დააგროვებს და დადებით ბალანსს გაინაღდებს, ტოჩინოშინი კი წარმატების შემთხვევაში 7 მოგებას დააგროვებს და ერთ ნაბიჯზე იქნება ყველა სუმოისტისთვის სასურველ დადებით ბალანსთან. მანამდე კი გუშინ განვითარებულ მოვლენებს შევეხოთ.

აღმოსავლეთის მეთექვსმეტე მაეგეშირამ, კოკაიმ ტურნირზე მეშვიდე გამარჯვება იზეიმა. მან აღმოსავლეთის მეთხუთმეტე მაეგეშირა ტამავაში დაამარცხა.

მიმდინარე სექტემბრის ბაშოზე ზედიზედ მეხუთე შეხვედრა მოიგო ტოჩინოშინმა, გუშინ მან დასავლეთის მერვე გაუგებარ მასაცუკასას აჯობა. შესაბამისად, ახლა ჩვენი სუმოისტის ანგარიშზე ექვსი მოგება და ოთხი წაგებაა.

ტურნირს ლიდერობენ აღმოსავლეთის იოკოძუნა ჰაკუჰო და დასავლეთის მეხუთე გაეგეშირა მოეიოდო. ორივე მათგანს 9 მოგება და ერთი მარცხი აქვს.

გუშინ ჰაკუხო აღმოსავლეთის სეკივაკე ამას შეებრძოლა და მოუგო, მოეიოდომ კი უბრძოლველად ჩაიწერა გამარჯვება, რადგან მასთან საჭიდაოდ მეორე მონღოლი იოკოძუნა ასაშორიუ აღარ გავიდა.

სხვათა შორის, დღეიდან სექტემბრის ბაშოს ერთი ლიდერიღა დარჩება, რადგან ჰაკუჰო და მოეიოდო ერთმანეთს ხვდებიან.

**გიორგი არაბული**



# ვაჟა ღონღაძემ ახალგაზრდული ბრინჯაო აწია

**14-21 სექტემბერს** ალბანურ დურესში ძალოსნობაში ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი გაიმართა, რომელზეც საქართველოდან ორი ძალოსანი გამოდიოდა — 16 წლის გიორგი ლომთაძე (56 კგ) და ვაჟა ღონღაძე (94 კგ).

ვაჟა ღონღაძემ მე-3 ადგილი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მან ჯამში 338 კგ აწია. აკრა 180 და აიტაცა 158. ჩვენებურს მხოლოდ სოსლან გოგლოევმა და არტურ პრესნიეკსმა აჯობეს.

მეტოქეებზე ოთხი წლით უმცროსი გიორგი ლომთაძე ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად ითვლებოდა, თუმცა საბოლოოდ მე-5 ადგილი დაიკავა. ლომთაძემ ორივე სახეობაში ჯამში 210 კილოგრამი აწია: 98 კგ აიტაცა და 112 კგ აკრა.

**ზურაბ მიგრიაული**



# ტრავმა, სხვა ტრავმა...

**ჩვენი** პლაჟბურთელების, გეორ და გიას დასრულებული ბრაზილიის მსოფლიო თასის მესამე ტურის მატჩზე გამოუცხადებლობის მიზეზი არა ტრავმა, არამედ ჟორჟი ტერშეირუს, იგივე გიას მამის გარდაცვალებაა.

გეორ-გიამ ტურნირზე ორი ეტაპი დამაჯერებლად გადალახა და მესამე დაპირისპირება ავსტრიელებთან, ჰაბერსთან და ბიგუელთან უნდა ჰქონოდათ, თუმც ბუნებრივია, რომ რენატო და ჟორჟი ასეთ მდგომარეობაში თამაშს ველარ მოახერხებდნენ და სათამაშოდაც აღარც გამოცხადებულან...

სარბიელელები თანავუგრძნოთ ჟორჟი ტერშეირუს **მამის** გარდაცვალების გამო

# შანხაი და დუბაი ხალხს აგროვებს

**წლეულს** სანაკრებო ბატალიები ფაქტობრივად დასრულდა — სეზონის ბოლოს, 21-23 ნოემბერს არგენტინაში დევისის თასის ფინალი გაიმართება და ეგ არის. სწორედ ამიტომ, საჩოგბურთო სამყარო ამიერიდან მთლიანად წლის შემაჯამებელ ტურნირებზე მოხვედრ საუკეთესო რვა-რვა კაცისა და ქალის გამოვლენაზე იქნება გადართული.

რამდენიმე მათგანის ვინაობა ისედაც ცნობილია. მაგალითად, კაცებიდან შანხაიში წასვლის უფლება უკვე გაინაღდეს რაფაელ ნადალმა, როჯერ ფედერერმა და ნოვაკ ჯოკოვიჩმა. ქალთაგან წლის შემაჯამებელ ტურნირზე, რომელიც წლეულს პირველად დუბაიში ჩატარდება, თამაშის უფლება ელენა იანკოვიჩმა, სერენა უილიამსმა, დინარა საფინამა და ელენა დემენტიევამ მოიპოვეს. დანარჩენი ადგილებისთვის კი უახლოეს ორ თვეში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებია მოსალოდნელი.

ამის გამო თითოეული ტურნირი, დიდი თუ პატარა, სწორედ ამ პრიზმაში იქნება განსახილველი და იმის გარანტირებაც შეიძლება, რომ წინ კიდევ ბლომად საინტერესო გველის. ,

ამ კვირაში კაცები უფრო მეტად აქტიურობენ, რადგანაც ბანგკოკსა და პეკინში დაწყებული ტურნირები სოლიდური საპრიზოებითაც გამოირჩევიან და შემადგენლობაც ორივეგან ფრიად სოლიდურია.





მართალია, თანამედროვე ჩოგბურთის ორი უმთავრესი ბობოლა, ნადალი და ფედერერი უქმობენ და დასვენებას ამჯობინებენ, მაგრამ, სამაგიეროდ ბანგკოკში ჩასვლა არ დაიზარა ჯოკოვიჩმა. თუმც ტრადიციისამებრ, ბობოლება საწყის წრეებს ტოვებენ და სერბიც ჯერ არ გასულა ტაილანდურ ჰარდზე. ნოვაკი მხოლოდ ოთხშაბათს ითამაშებს, პირველ მეტოქედ კი კვალიფიკაციიდან მოხვედრილი გერმანელი სიმონ სტადლერი ეყოლება.

სერბი ჯერ კი უქმობს, მაგრამ პირველი წრის რამდენიმე შეხვედრა გაიმართა და ჩვენც თვალი გადავავლოთ. შუა აგვისტოს შემდეგ პირველად მოიგო რობინ სოდერლინგმა. შვედი სეზონის სტარტზე საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ ზაფხულში ძალიან გაუჭირდა და მისი საქმეებიც სულ უკან წავიდა. თუმც ვიკინგს მდგომარეობის გამოსწორების იმედი არ დაუკარგავს და აგერ ბანგკოკში გამარჯვებით დაიწყო, როცა აისამ-ულ-ჰაქ ქურეში დამაჯერებლად, 69 წუთში მიჩოგნა — 6:4 6:2. პირველ რიგში, შვედმა ძლიერი მოწოდების ხარჯზე იხეირა და გუშინ აქტივში 14 ეისი ჩაიწერა. მომდევნო მეტოქედ სოდერლინგს რუსი თეიმურაზ გაბაშვილი ეყოლება, რომელიც თავის მხრივ გერმანელ მიხაელ ბერერს გაუმკლავდა.

პეკინში კი ყურადღებას ძირითადად ესპანელები იქცევენ. ჩინეთში ჩასვლა არ დაიზარეს ბოლო წლებში ელიტაში მუდმივად მყოფმა ტომი რობრედომ და მსოფლიოს ექსპირველმა ჩოგანმა ხუან-კარლოს ფერერომ. საქმეში ისინი უკვე ვიხილეთ და ჯერჯერობით სტატუსი ორივემ გაამართლა — პირველმა თანამემამულე გილერმო გარსია-ლოპესს ორ სეტში, მაგრამ მაინც საკმაოდ წვალებით მოუგო, 6:4 7:5. ფერეროს კი რუსი ალექსანდერ კუდრიავცევის მისაჩოგნად 70 წუთი ეყო.

პეკინში კიდევ ერთი პირინეელი ბობოლა, დავიდ ფერერია ჩაბრძანებული, რომელიც პირველ ნომრად არის განთესილი. თუმც ამ ბიჭს ჯერ არ უთამაშია.

ქალები კი ამ კვირაში იმავე პეკინსა და სეულში შეკრებილან. ამ ორი ტურნირიდან უფრო ძლიერმა შემადგენლობამ ჩინეთში მოიყარა თავი და თქვენის ნებართვით, ჯერჯერობით მხოლოდ იქაური ამბებით შემოვიფარგლებით.

უმთავრესი კი ის არის, რომ პეკინში თამაშზე ხელი აიღო დინარა საფინამ. ორიოდ დღის წინ ტოკიოს ტურნირის მომგებ რუსს, რომელიც რეიტინგში მესამე საფეხურამდე აღზევდა, ფეხის ძველი ტრავმა გამიზეზებია და ამიტომ დასვენება არჩია.

უშუალოდ კორტზე მომხდარი სიახლეებიდან კი დანიელა ჰანტუხოვას მოგება გამოვყოთ, რომელმაც გიზელა დულკოს ადვილად გადაუარა. სამაგიეროდ, წააგო სხვა განთესილმა — კაროლინ ვოზნიაკიმ ვერაფერი გააწყო ანაბელ მედინა გარიგესთან და ორ სეტში, 7:5 6:4 დამარცხდა. არადა, დანიელს ორივე სეტის მოგება შეეძლო — პირველში 5:2 მიჰყავდა, მეორეში კი 4:0, მაგრამ ახალგაზრდა ვარსკვლავმა ეს უპირატესობა ორჯერვე გაანიავა და საკუთარი თავის გარდა ამ წაგებას ვერავის უსაყვედურებს.

განმეორდა ერთი კვირის წინ, ტოკიოს პირველ წრეში მომხდარი ამბავიც — ამელი მორესმომ სწორი დასკვნების გამოტანა ვერ შეძლო და დომინიკა ციბულკოვასთან ბოლო 7 დღეში მეორედ წააგო.

**კახა ლომაშვილი**

## კაცები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 7000 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 5930 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 4855 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 3040 |
| 5. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 2490 |
| 6. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2400 |
| 7. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1975 |
| 8. ენდი როდიკი (აშშ) | 1845 |
| 9. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 1670 |
| 10. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1650 |
| 11. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1645 |
| 12. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1615 |
| 13. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) | 1518 |
| 14. ივო კარლოვიჩი (ხორვატია) | 1475 |
| 15. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 1440 |
| 16. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1390 |
| 17. ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 1390 |
| 18. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) | 1305 |
| 19. იგორ ანდრეევი (რუსეთი) | 1260 |
| 20. ჟო-ვილფრიედ ცონგა (საფრანგეთი) | 1250 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 1265 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 921 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 875 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 520 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 417 |
| 6. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 337 |
| 7. ენდი როდიკი (აშშ) | 329 |
| 8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 309 |
| 9. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 286 |
| 10. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) | 272 |
| 11. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 266 |
| 12. ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 261 |
| 13. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) | 253 |
| 14. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 253 |
| 15. იგორ ანდრეევი (რუსეთი) | 239 |
| 16. მარდი ფიში (აშშ) | 226 |
| 17. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 218 |
| 18. ჟო-ვილფრიედ ცონგა (საფრანგეთი) | 215 |
| 19. მარინ ჩილიჩი (ხორვატია) | 205 |
| 20. ივო კარლოვიჩი (ხორვატია) | 202 |

### ფულადი მონაგარი

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 6 583 074 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 4 561 341 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 3 831 382 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 2 334 965 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 1 521 606 |
| 6. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1 095 268 |
| 7. ენდი როდიკი (აშშ) | 1 047 237 |
| 8. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 918 781 |
| 9. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) | 889 333 |
| 10. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 850 081 |
| 11. ჟო-ვილფრიედ ცონგა (საფრანგეთი) | 843 506 |
| 12. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) | 836 458 |
| 13. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 828 885 |
| 14. იგორ ანდრეევი (რუსეთი) | 806 554 |
| 15. მარდი ფიში (აშშ) | 806 227 |
| 16. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 802 265 |
| 17. მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) | 790 557 |
| 18. ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 785 001 |
| 19. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 759 197 |
| 20. რობინ სოდერლინგი (შვედეთი) | 757 451 |

## ქალები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 4091 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3885 |
| 3. დინარა საფინა (რუსეთი) | 3747 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3533 |
| 5. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 3470 |
| 6. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3041 |
| 7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2870 |
| 8. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2386 |
| 9. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 2167 |
| 10. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 2146 |
| 11. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1827 |
| 12. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1782 |
| 13. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1770 |
| 14. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1635 |
| 15. ფლავია პენეტა (იტალია) | 1555 |
| 16. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) | 1543 |
| 17. კაროლინ ვოზნიაკი (დანია) | 1463 |
| 18. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1449 |
| 19. ალიზ კორნე (საფრანგეთი) | 1389 |
| 20. დომენიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 1257 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3780 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 3680 |
| 3. დინარა საფინა (რუსეთი) | 3553 |
| 4. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2965 |
| 5. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 2882 |
| 6. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2515 |
| 7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2322 |
| 8. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2106 |
| 9. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 2055 |
| 10. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 1935 |
| 11. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1554 |
| 12. ფლავია პენეტა (იტალია) | 1443 |
| 13. კაროლინ ვოზნიაკი (დანია) | 1439 |
| 14. ალიზ კორნე (საფრანგეთი) | 1391 |
| 15. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1378 |
| 16. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1313 |
| 17. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1286 |
| 18. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) | 1286 |
| 19. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 1231 |
| 20. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 1224 |

### ფულადი მონაგარი

| | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 3 641 548 |
| 2. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 2 580 045 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 2 364 245 |
| 4. დინარა საფინა (რუსეთი) | 2 342 820 |
| 5. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2 272 130 |
| 6. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1 937 879 |
| 7. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1 513 479 |
| 8. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 1 266 484 |
| 9. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 960 839 |
| 10. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 850 855 |
| 11. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 754 190 |
| 12. ჟი ჟენგი (ჩინეთი) | 731 139 |
| 13. კარა ბლეკი (ზიმბაბვე) | 693 505 |
| 14. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) | 693 269 |
| 15. ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) | 689 447 |
| 16. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 679 300 |
| 17. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 676 514 |
| 18. ლიზელ ჰუბერი (აშშ) | 666 302 |
| 19. აი სუგიამა (იაპონია) | 639 486 |
| 20. ფლავია პენეტა (იტალია) | 606 154 |

ეროვნული ბიბლიოთეკა













# ინგლისური რაგბის ჰოლ-ოფ-ფეიმი

*ბრიტანულმა გაზეთმა „სანმა" თავისი ცნობილი რუბრიკა „10 ყველაზე" ამჯერად ინგლისურ რაგბის დაუთმო. 10 რჩეულს შორის ვერ მოხვდნენ ლეგენდარული გარემარბები — უნიჭიერესი მულატი ჯერემი გასკოთი და ქარიზმატული კაპიტანი უილ ქარლინგი, მაგრამ ვინც მოხვდა, ისინიც მაგარი ბიჭები არიან და იყვნენ*




### 1. მარტინ ჯონსონი

„ლესტერის" 202-სანტიმეტრიანი და 120-კილოგრამიანი მეორეხაზელი მშვენივრად ფლობდა თავისი უზარმაზარი სხეულის ყოველ გრამს, როგორც მოთამაშე და როგორც ლიდერი. დომინირებდა დერეფანში, უმოწყალო იყო ბოჭვებში და არც თავის დაზოგვა იცოდა. ქვეყნის ნაკრებში 84 მატჩში ითამაშა და ამასთან ერთადერთია, ვინც „ბრიტანელ ლომებს" სამხრეთ ნახევარსფეროში ორ ტურნეში უკაპიტნა.

### 2. ჯეისონ ლეონარდი

პროფესიით დურგალი ლეონარდი 114 კეპით ინგლისის რეკორდსმენია. მისთვის სულ ერთი იყო, პირველ ხაზში მარჯვნივ დააყენებდნენ თუ მარცხნივ, ის შერკინების გულში ჩადგმული კლდის ლოდივით იყო. ინგლისის ნაკრების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ბურჯი ლეონარდი 14 წელი ურყევად იდგა ყველაზე ტრავმასაშიშ პოზიციაზე, ამასთან ერთი უმძიმესი ტრავმის გადატანაც მოასწრო.

### 3. ჯონი უილკინსონი

2003 და 2007 წლების მსოფლიოს თასებს შორის „უილკოს" რაგბი თითქმის არ უთამაშია. ამ პერიოდში ის თავის ტრავმების სიას ავსებდა, მაგრამ ამის მიუხედავადაც, მან რეკორდების სიის გაზრდაც შეძლო. ნიუკასლელი დამრტყმელი ინგლისის რეკორდსმენია ქულებში, მოუგროვებია ყველაზე მეტი ქულა მსოფლიოს თასებზეც და ექვს ერზეც. გასაგიჟებელია მისი 39 ქულა ერთ თამაშში. ისევ და ისევ ტრავმის გამო გამოტოვებული წლები რომ არა, მსოფლიოს აბსოლუტური რეკორდსმენიც იქნებოდა სანაკრებო ქულებში.

### 4. რორი ანდერვუდი

წარმოშობით მალაელი გარემარბი შეტევის ნებისმიერ ფრთაზე თავს კომფორტულად გრძნობდა და ერთ-ერთი უძლიერესი ფინიშიორი გახლდათ. სტატისტიკა ყველაფერზე მეტყველებს — 49 ლელო 89 თამაშში. ესაა ინგლისის რეკორდი, რომელსაც ალბათ ვერავინ მოხსნის. სანაკრებო დონეზე ანდერვუდი მსოფლიოში მეორე მელელოვეა ავსტრალიელი დევიდ ქემპიზის შემდეგ.

### 5. ლოურენს დალალიო

ხუთი წლის წინ მსოფლიოს თასის მომგებ ინგლისის ნაკრებში იგივე იყო, რაც ეშვი მტაცებლის ხახაში. ტანად ზორბა და პიროვნულად უფრო დიდი და გოროზი. შერკინების ბოლოში კარგად აკონტროლებდა ბურთს და უკანა ხაზს სივრცეებს უთავისუფლებდა. თამაშობდა 8 ნომერზეც და 6-ზეც და ამ მეორეზე ის ნამდვილი დემონი იყო დაცვაში.




### 6. ჯეისონ რობინსონი

უდავოდ მსოფლიოს ერთ-ერთ უნიჭიერესი დრიბლიორი. თანაგუნდელთა შორის „ბილი ვიცად" წოდებულმა რობინსონმა ნაკრებში 51 თამაში და „ვარდებთან" ერთად მსოფლიოს თასის მოპოვება მოასწრო მას შემდეგ, რაც 13-კაცა რაგბიში ბედნიერი „პირველი ცხოვრება" გაატარა. ამერიკული ფეხბურთის ფულბეკის სისწრაფის პატრონი და დაცვაშიც თავდაუზოგავი მბოჭავი.

### 7. ბილ ბიმონტი

1980 წელს ექვსი ერის დიდი სლემით მომგები ინგლისის შთამბეჭდავი და ინტელიგენტი კაპიტანი. მისი ერთი შეხედვით მოუქნელი სხეული საკმარისის სისხარტეს მალავდა და ბიმონტი უკანა ხაზშიც ბეკების ტოლ-სწორად დარბოდა. მეორეხაზელისთვის არცთუ მაღალი, 1,91 მეტრი იყო, მაგრამ ხშირად აუტებშიც ყოჩაღობდა.

### 8. დინ რიჩარდსი

ვარჯიშით თავს არ იკლავდა და ჩაწეული გეტრებით გადიოდა მოედანზე, იტყოდით, იქ შემთხვევით შეეხეტაო. ქალაქ ლესტერში პოლიციელად მომუშავეს თამაშის დროს არბიტრიც გაულახავს, მაგრამ ის სულაც არ იყო შემთხვევითი კაცი რაგბიში. „დინო" საუკეთესო იყო მოლში და ზედახორაშიც თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში.

### 9. პიტერ უინტერბოტომი

ქერა ბომბადამშენი რაგბის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ჩამშლელი მესამეხაზელი გახლდათ, თუმც არც ბურთთან და ტექნიკასთან იყო მწყრალად. ფერმერი, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთიდან სამხრეთში გადმოსახლდა და „ჰარლიქვინზში" დაიწყო თამაში. ნაკრებში 58 კეპი მოინაგრა, რაც მის დროს რეკორდი გახლდათ.

### 10. რიჩარდ ჰილი

თავის ეპოქის ალბათ ყველაზე დაუფასებელი მორაგბე, მაგრამ ჰილი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ნაკრებში და როცა ის კარგად თამაშობდა, გუნდსაც ყველაფერი მშვენივრად გამოსდიოდა. საშინელი მბოჭავი, საიმედო დამხმარე და შეტევათა ხშირი მონაწილე. ჰილმა ეროვნული მაისურა 71-ჯერ მოირგო.












ეროვნული ბიბლიოთეკა




# წესიერი წავიდა

**ნბა-ს** დიდი ოჯახის ერთი ძველი წევრი გამოემშვიდობა კალათბურთს. შარიფ აბდურ-რაჰიმი ჯერ მხოლოდ 31 წლისაა, კალათბურთში ეს არაა ღრმა ვეტერანობის ასაკი, მაგრამ ქრონიკულად მტკივანმა და ორჯერ ნაოპერაციევმა მუხლმა ამ ნაბიჯის გადადგმა აიძულა.

„მენტალურად არ ამომიწურია ჩემი თავი ნბა-ში, დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი ნებისმიერ გუნდში, სუსტში თუ ძლიერში, ლიდერად თუ სათადარიგოდ, მაგრამ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები სხვა გზის ძიებისკენ მიბიძგებს — ამბობს აბდურ-რაჰიმი — ჩემმა მუხლმა ხშირი დაშავებისა თუ ჩარევების გამო ართრიტული დაავადების სიმპტომები შეიძინა. მივხვდი, რომ ველარასოდეს ვითამაშებ ძველებურად და ისღა დამრჩენია, რეალობას გავუსწორო თვალი."

აბდურ-რაჰიმი ყოველთვის კარგ მოთამაშედ ითვლებოდა. 1996 წელს „ვანკუვერ გრიზლიზმა" 19 წლისა დრაფტში მესამე ნომრად აიყვანა და შარიფმაც სრულად გაუმართლა — გახდა ლიდერი და ყოველ თამაშში დაახლოებით 20 ქულისა და 7 მოხსნის მკეთებელი მოთამაშე. ოთხი წელი ყოჩობდა ამ აუტსაიდერ კლუბს, შემდეგ კი „გრიზლები" კანადური ვანკუვერიდან ამერიკულ მემფისში რომ გადავიდნენ, შარიფი მშობლიურ ქალაქ ატლანტას გუნდ „ჰოქსში" გაცვალეს.

აუხდა აბდურ-რაჰიმს ბავშვობის ოცნება — დიდი კალათბურთი იმ კლუბში ეთამაშა, რომელშიც ათეული წლის წინ მისი კერპი დომინიკ უილკინსი თამაშობდა. ის იქ ლიდერად იქცა, ერთხელ აღმოსავლეთის ვარსკვლავთა გუნდშიც შეიყვანეს საოლსტაროდ, 2000 წელს კი ოლიმპიურ ნაკრებშიც უხმეს. შარიფი იმ გუნდის არცთუ გამორჩეული, მაგრამ მაინც დამსახურებული წევრი იყო, რომელმაც სიდნეიში ზედიზედ მესამედ მოუპოვა ამერიკას ოქრო.

მაგრამ ამ ყოველივეს მიუხედავად, შარიფ აბდურ-რაჰიმი არასდროს ყოფილა პირველი სიდიდის ვარსკვლავი. ის უპირატესად სუსტ გუნდებს ლიდერობდა და ასე განსაჯეთ, პირველად 2006 წელს ითამაშა პლეი ოფში თავის რიგით მეოთხე გუნდ „საკრამენტოს" მაისურით, თანაც ის იქ უკვე არა ლიდერი, არამედ ტრავმებით შეჭირვებული ვეტერანი, სათადარიგო გახლდათ. 2007-08 სეზონში კი მუხლმა მას მხოლოდ შვიდ თამაშში დარჩო მეიდანზე გასვლის ნებართვა.

აბდურ-რაჰიმი ყველას დაამახსოვრდება, როგორც წესიერი, ზრდილი კალათბურთელი, რომელიც დიდთანაც და პატარასთანაც თავმდაბალი და მეგობრული იყო და იცოდა, სად რა ეთქვა. შეიძლება ითქვას, რომ აუგის მთქმელი არ დაუტოვებია.

„ის სამაგალითო იყო როგორც მოთამაშე და როგორც მოქალაქე — ასე გააცილა „საკრამენტოს" პრეზიდენტმა ჯოფ პეტრიმ — საწყენია, როცა მოთამაშე ტრავმის გამო ანებებს თავს საყვარელ საქმეს, მაგრამ ვიტყვი იმასაც, რომ შარიფმა ბევრის გაკეთება მოასწრო."

ბოლოს პეტრიმ ისიც თქვა, ასეთ ადამიანს არ დავკარგავთ და კლუბში რაიმე თანამდებობაზე დავნიშნავთო.

**ირაკლი ფირაშვილი**

# მოხუცი დარჩა

მაიკ კრჟიჟევსკი და ჯერი კოლანჯელო



**პეკინში** ამერიკის შეერთებული შტატების საკალათბურთო ნაკრებმა ოლიმპიური ოქრო და დიდება დაიბრუნა. ყველა კმაყოფილია — ნაკრებსგარეთ დარჩენილ ნბა-ს ვარსკვლავთაგანაც კი არავის დასცდენია აუგი, რაკი ვინც იმსახურებდა, ყველა მოხვდა ნაკრებში. ოლიმპიური გუნდის ბევრმა ლიდერმა აქედანვე გამოთქვა კმაყოფილი თანხმობა 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადისთვის და ასე ჩანს, ეს ნაკრები ხერხემალს ხანგრძლივად შეინარჩუნებს.

გუნდის ხელმძღვანელად რჩება ჯერ კოლანჯელოც, ნბა-ში ათწლეულების განმავლობაში მოქმედი წარმატებული ფუნქციონერი, რომელიც 2008 წლის ოლიმპიური ჩემპიონი გუნდის შემკვრელად და სულისჩამდგმელად ითვლება.

„ჩვენ დიდი სამუშაო შევასრულეთ ოლიმპიადის წინ და შეიძლება ითქვას, ჩვენი დროისთვის სრულყოფილთან მოახლოვებული გუნდი შევკარით. ნუ მიიღებთ ამას, როგორც თვითქებას, მე სხვის გაგონილს გიმეორებთ — ამბობს კოლანჯელო — მაგრამ ჩვენ კვლავ ვსწავლობთ დღევანდელი დღისგან და მომავალში განვითარებას ვეცდებით. მე ვრჩები აშშ-ს ნაკრების მთავარ ორგანიზატორად არა პირადული ამბიციის, არამედ იმის გამო, რომ მიყვარს კალათბურთი და აქ ვხედავ ჩემს ადგილს."

კოლანჯელო კარგა ხნის განმავლობაში „ფინიქს სანზის" მეპატრონე გახლდათ და აქტიურად მონაწილეობდა ამ საკმაოდ წარმატებული კლუბის მართვაში ასაკში შესვლის მიუხედავად. 2005 წლიდან კი მას ქვეყნის ნაკრები ჩააბარეს, რომელსაც სიდნეის მერე არაფერი მოეგო და წლიდან წლამდე ეცემოდა მისი პრესტიჟი საერთაშორისო სარბიელზე. კოლანჯელომ საუკეთესო ორგანიზატორული თვისებები გამოამჟღავნა. მან მწვრთნელად უხმო არა ნბა-ში გათქვეფილ მწვრთნელს, არამედ სტუდენტური კალათბურთიდან აიყვანა ნაკრებისთვის მეთაური. მისმა არჩევანმა, მაიკ კრჟიჟევსკიმ სრულად გაამართლა, კოლანჯელოს მეთაურობითვე მოხერხდა ნბა-ს ნამდვილი ნაკრების მოხდა. შეირჩნენ ჭეშმარიტად საუკეთესოები. ამ მოხუცი ფუნქციონერის მთავარ დამსახურებად კი მაინც ის ჩაითვლება, რომ აშშ-ს ნაკრებმა ნამდვილი ნაკრების სახე მიიღო. მანამდე ის დიდი ტურნირის წინ ორი კვირით ადრე შეკრებილი უვარგიშებელი ვარსკვლავების კრებული იყო, რომელსაც არცთუ მაღალ დონეზე ჰქონდა აქვანილი ეროვნული თვითშეგნება.

# მძიმე კაცის ნათელი მომავალი

ედი ჯორდანი



**„ვაშინგტონ ვიზარდსს"** ამ ზაფხულს გარკვეული პრობლემები შეექმნა — კერძოდ, კიდევ ერთხელ დაემტვრა ლიდერი ჯილბერტ არენასი, რომელსაც ორიოდ თვის წინ 6-ქულიანი და 111-მილიონიანი კონტრაქტი გაუფორმა. კლუბის შეფებმა აღარ ისურვეს პრობლემების დამატება და მწვრთნელი ედი ჯორდანი 2010 წლამდე დატოვეს გუნდში, ოღონდ არ გახმაურებულა, რამდენ მილიონად.

სიმართლე ითქვას და, ჯორდანის სასაყვედურო არც არაფერი აქვთ დედაქალაქელებს. ის ხუთი წელია, „ვიზარდსს" წვრთნის და ამ პერიოდში აღმოსავლეთში ზესაშუალოთა შორის მყარად დაამკვიდრა. მის მოსვლამდე გუნდს რვა წელი პლეი ოფი არ ენახა, ჯორდანმა თავის მხრივ „მხოლოდ" ერთი წელი აცდევინა, მეორე სეზონში კი პლეი ოფში გაიყვანა და ეს კიდევ ზედიზედ სამჯერ შეძლო.

„ვიზარდსთან" ერთად გატარებულ ხუთ სეზონში ჯორდანს 214 წაგების წილ 196 მოგება დაუგროვდა, რითაც ის კლუბის ისტორიაში ყველაზე წარმატებულ მწვრთნელებში მესამეა და შვიდი მოგება აკლია მეორე ადგილზე მყოფ ვეს ანსელდთან. ბოლო ოთხ სეზონში მისი მოგება-წაგებათა ბალანსი საკმაოდ შთამბეჭდავია — 171-157.

ისიც ვთქვათ, რომ ნბა-ს 30 გუნდის მოქმედ მწვრთნელებში ახლანდელ გუნდთან მუშაობის მასზე ხანგრძლივი სტაჟი მხოლოდ ჯერი სლოუნს (იუტა) და გრეგ პოპოვიჩს (სან ანტონიო) აქვთ.

„მე თუ დღეს ნბა-ში წარმატებულ მწვრთნელად ვითვლები, ეს ყველას დამსახურებაა, კლუბის მფლობელ ები პოლინის, პრეზიდენტ ერნი გრუნფილდის, ჩემი ასისტენტების, მოთამაშეების — ამბობს ჯორდანი — შეიძლება, მე მძიმე ხასიათი მაქვს, მაგრამ „ვიზარდსის" ოჯახში ყველანი ვახერხებთ საერთო ენის გამონახვას და ჩვენ რეალურად შეგვიძლია, გუნდი კიდევ უფრო წინ წავწიოთ."

**ირაკლი ფირაშვილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყულიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბაჩო კვირიკაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიშვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge